საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზი

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI). ის შეიძლება არ ასახავდეს აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის, USAID ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.

სარჩევი

1. შესავალი 3

2. საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიმოხილვა 7

2.1. ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალი და გამჭვირვალე საქმეთა განაწილების მიზანი 7

ა) შემთხვევითი განაწილების პროცედურა 7

ბ) საგამონაკლისო შემთხვევები, რომლებზეც შემთხვევითი განაწილების წესი არ ვრცელდება 9

გ) მორიგეობით საქმეთა განაწილების პროცედურა 9

2.2. მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის უზრუნველყოფის მიზანი 10

2.3. საქმეთა განაწილება მოსამართლის შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში 17

2.4 საქმეთა განაწილება ელექტრონული სისტემის დროებით შეფერხებისას 18

2.5. სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეთა განაწილების პროცესში ჩარევის რისკები 20

- *ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრა და მისი ცვლა საკუთარი შეხედულებით;* 20
- *კოლეგიის შემადგენლობის ფორმირება* 21
- *მოსამართლეთა მორიგეობის დადგენა;* 22
- *მოსამართლეთათვის საქმეების განხილვის დავალება* 23

3. საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ტექნიკური მახასიათებლები და გამოვლენილი პრობლემები 24

3.1. საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ტექნიკური მახასიათებლები 25

3.2. საქმეთა განაწილების პროცესი 26

3.3. პროგრამის მომხმარებელთა ტიპები 28

4. რეკომენდაციები: 29

5. (დანართი 1) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით 31

1. შესავალი

მართლმსაჯულების რეფორმის „მესამე ტალღის“ ფარგლებში „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში[1] (შემდგომში ორგანული კანონი) განხორციელებული ცვლილებებით, 2017 წლის 31 დეკემბრიდან საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეთა ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესი ამოქმედდა.

აღნიშნული ცვლილება მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის გაუმჯობესებისკენ წინგადადგმული ნაბიჯია, რომელმაც სასამართლოებში მოსამართლეებზე საქმეთა განაწილების პროცესში არსებულ მრავალ გამოწვევას, მათ შორის მოსამართლეთა მიუკერძოებლობას და მათი თანაბარი დატვირთვის უზრუნველყოფას უნდა უპასუხოს. ახალი რეგულაციის ამოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქმეთა განაწილების პროცესში თავმჯდომარის როლის შემცირების თვალსაზრისით, რამდენადაც სასამართლოს თავმჯდომარეების უფლებამოსილება, გაანაწილონ საქმეები მოსამართლეთა შორის, ვენეციის კომისიის მოსაზრებით, დისკრეციის ელემენტებს გულისხმობდა, რაც შეიძლება ბოროტად ყოფილიყო გამოყენებული, როგორც მოსამართლეზე ზემოქმედების საშუალება.[2]

ვენეციის კომისიამ დადებითად შეაფასა ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილება, თუმცა მიიჩნია, რომ ორგანული კანონის 58[1] მუხლი „ძალიან მოკლეა და ადგენს მხოლოდ იმას, რომ საქმეთა განაწილება უნდა მოხდეს ელექტრონული სისტემით“. „დეტალური რეგულაციები არ გვხვდება .... არ არის ნათელი, პრაქტიკაში როგორ იმუშავებს ელექტრონული სისტემა. ამასთან, მუხლის პროექტის მეორე ნაწილი, რომელიც არეგულირებს საქმეთა განაწილების საკითხს, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შემთხვევაში, ასევე, ფორმულირებულია ძალიან მოკლედ და არ ითვალისწინებს დეტალურ წესებს საქმეთა განაწილების შესახებ იმ დროს, როცა ელექტრონული სისტემა არ მუშაობს.“[3]

2017 წლის პირველი მაისის N1/56 გადაწყვეტილებით, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ (შემდგომში საბჭო) ორგანული კანონის ცვლილების შესაბამისად დაამტკიცა „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმეთა განაწილების წესი“[4] (შემდგომში - საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი), რომლითაც რეგულირდება სისტემის მეშვეობით მოსამართლეთა

---

[1] საქართველოს ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 58[1]. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90676 [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[2] ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის (DGI) ადამიანის უფლებათა დირექტორატის (DHR) ერთობლივი დასკვნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილებების კანონპროექტზე“. CDL-AD(2014)031, პუნქტი 69. ხელმისაწვდომია: http://www.venice.coe.int/webforms/documents/?pdf=CDL-AD(2014)031-geo [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[3] იქვე, პუნქტი 70.

[4] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/konsolidirebuli%20gadackvetilebebi/56.pdf [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

შორის საქმეების განაწილება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე. სასამართლოებში საქმეები მოსამართლეებს შორის სპეციალიზაციის მიხედვით ნაწილდება. ზოგადი წესის თანახმად, პროგრამა უზრუნველყოფს მოსამართლეთათვის საქმეთა შემლებისდაგვარად თანაბარ განაწილებას. სისტემა გამოითვლის განაწილებულ საქმეთა საშუალო მაჩვენებელს, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობას, შემთხვევითი შერჩევის შედეგად გენერირებულ რიცხვს და ახდენს ყველა ამ პარამეტრის ლოგირებას[5].

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის საფუძველზე შეიქმნა საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამა (შემდგომში ელექტრონული პროგრამა), რომელიც 2017 წლის 1 ივლისიდან სატესტო რეჟიმში რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 31 დეკემბრიდან საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ ყველა სასამართლოში ამოქმედდა.

საქმეთა განაწილების ახალი წესის სამართლებრივი და ტექნიკური ასპექტების შეფასებისას მნიშვნელოვანია იმის გაანალიზება, თუ რამდენად გამართულია საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი და რამდენად შეესაბამება მას ელექტრონული პროგრამა. ასევე, უტოვებს თუ არა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი და მის საფუძველზე შექმნილი პროგრამა სასამართლოს თავმჯდომარეებს რაიმე ტიპის ბერკეტებს, რომლითაც შეეძლებათ გავლენა იქონიონ საქმეთა განაწილების პროცესსა და საქმეთა შედეგებზე.

მოცემული ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილია საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიმოხილვა და ამ წესის საფუძველზე შექმნილი ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირების ტექნიკური ანალიზი.

<u>ძირითადი მიგნებები:</u>

- საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი 29 სასამართლოდან[6], **საქმეთა შემთხვევითი განაწილება** ფაქტობრივად არ მოქმედებს იმ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებსა (6 სასამართლო) და მუნიციპალიტეტებში (თითქმის ყველა მაგისტრატ სასამართლოში), სადაც უფლებამოსილებას მხოლოდ 1 მოსამართლე ახორციელებს. კოლეგიების არსებობა უზრუნველყოფილია მხოლოდ 6 სასამართლოში, ხოლო დანარჩენ სასამართლოებში, იმ ობიექტური მიზეზების გამო, რომ არ არის უზრუნველყოფილი ერთსა და იმავე სპეციალიზაციაში ორი და მეტი მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელება, მოსამართლეებს ერთდროულად ეწერებათ სხვადასხვა სპეციალიზაციის საქმეები;

[5] ტერმინი „ლოგირება“ გულისხმობს, ელექტრონული პროგრამის მიერ პროგრამულად განხორციელებული ყველა ქმედების, მათ შორის, განაწილებულ საქმეთა საშუალო მაჩვენებლის, თითოეულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის, შემთხვევით შერჩევის შედეგად გენერირებული რიცხვის, კონკრეტული საქმის სასამართლოში შესვლის და მისი რეგისტრაციის მომენტიდან მასზე ნებისმიერი მოქმედების განხორციელების შესახებ ინფორმაციის შენახვას იმგვარად, რომ მომავალში შესაძლებელი იყოს მისი პროგრამიდან ამოღება და გაშიფვრა.

[6] საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემა. ხელმისაწვდომია http://hcoj.gov.ge/ge/common-courts/organization-charter [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

- საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში **განხორციელებული ცვლილებების რაოდენობა**[7] და ინტენსივობა მიანიშნებს იმაზე, რომ პროგრამის ამოქმედების მომენტისათვის სათანადოდ არ იყო გააზრებული ყველა ის გამოწვევა, რომელიც აღნიშნულ წესს უნდა მოეგვარებინა[8];

- სასამართლოს თავმჯდომარეებს, **ვიწრო სპეციალიზაციებში** მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის უფლებამოსილებით, რომელიც კანონის საკამათო ინტერპრეტაციიდან გამომდინარეობს, საქმეთა განაწილების პროცესზე ზემოქმედების მნიშვნელოვანი ბერკეტი უნარჩუნდებათ;

- რაიონულ (საქალაქო) სასამართლოებში საქმის კოლეგიურად განხილვისას სასამართლოს **თავმჯდომარე ერთპიროვნულად განსაზღვრავს** კოლეგიურ შემადგენლობას, საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით. გარდა ამისა, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში საქმე ნაწილდება სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე, ხოლო კოლეგიაში/პალატაში სხვა მოსამართლეთა შერჩევა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით არ არის დარეგულირებული;

- სასამართლოს თავმჯდომარეებს საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მე-4 მუხლის მე-12 პუნქტი უფლებამოსილებას ანიჭებს, გარკვეული კატეგორიის საქმეებზე დაადგინოს **მოსამართლეთა მორიგეობა**. მორიგეობის სიის შედგენის პროცედურულ საკითხებს, ვადებსა და მასში ცვლილებების განხორციელების წესს კი, არ ითვალისწინებს არცერთი ნორმატიული აქტი;

- მოსამართლის მიერ კანონდებლობით დადგენილი საფუძვლებით **საქმის აცილების/თვითაცილებისას,** ბუნდოვანი და გაურკვეველია, როგორ ხდება საქმის ხელახალი განაწილება, რამდენადაც საქმეთა განაწილების ელექტრონული წესისაგან განსხვავებულ განაწილების პროცესს ადგენს საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა;

- ელექტრონული **პროგრამის ხარვეზის/შეფერხების** შემთხვევაში, მოქმედი წესები კანონქვემდებარე აქტების დონეზე რეგულირდება;

- ელექტრონული პროგრამა ისე შეიქმნა, რომ მის შესაქმნელად წინასწარ დაწერილი **ტექნიკური დავალება**, რომელსაც დეტალურად უნდა განესაზღვრა პროგრამის შესაქმნელად გამოყენებული საშუალებები, პროგრამული ალგორითმები, ტექნიკური აღწერილობა და მახასიათებლები, შინაარსობრივი და ფუნქციონალური ელემენტები, ასევე, პროგრამის მომხმარებელთა ტიპები და თითოეული მომხმარებლის უფლებამოსილება პროგრამაში, არ არსებობდა;

---

[7] საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის სრულად ამოქმედების შემდგომ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში შესულია 12 ცვლილება.

[8] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 2.

- ელექტრონული პროგრამის **მთავარი მოდული სათანადოდ არ არის დაცული** და არც პროგრამის დაცვის აპრობირებული საერთაშორისო გამოცდილება გამოიყენება, რაც მასში სხვადასხვა ტიპის, გარე დამკვირვებლისაგან ფარული ცვლილებების განხორციელების შესაძლებლობას არ გამორიცხავს;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს **მენეჯმენტის დეპარტამენტი**, რომელსაც საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის შესაბამისად, ელექტრონულ სისტემაზე ზედამხედველობა და ადმინისტრაციული ფუნქციების განხორციელება ევალება, ვერ უზრუნველყოფს პროგრამაში არსებული ინფორმაციის სათანადო დამუშავებასა და ანალიზს[9]. გარდა ამისა, დეპარტამენტს ამ დრომდე არ ჰყავს ხელმძღვანელი[10].

[9] *საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ 2018 წლის თებერვლის თვიდან მუდმივად მიმდინარეობდა საქმეთა განაწილების სტატისტიკის (საჯარო ინფორმაციის) გამოთხოვა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტიდან. ინფორმაცია ყოველთვის მოგვეწოდებოდა საჯარო ინფორმაციის გაცემის კანონით დადგენილი ვადის დარღვევით და ყოველთვის იყო არასრული, რადგან ზემოაღნიშნული დეპარტამენტი მოთხოვნილი ინფორმაციის დამუშავებას არ ან არასრულად ახორციელებდა (წერილები: N521/367-03-ო, N662/414-03-ო, N705/640-03-ო, N706/739-03-ო, N858/881-03-ო, N951/1073-03-ო, N899/1029-03-ო, N913/1074-03-ო, N919/1082-03-ო, N1038/1070-03-ო). მოგვიანებით სტატისტიკური ინფორმაციის გაცემაზე ვალდებულება საქართველოს უზენაესმა სასამართლომ აიღო.*

[10] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 8.

2. საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიმოხილვა

2.1. ყოველგვარი გავლენისგან თავისუფალი და გამჭვირვალე საქმეთა განაწილების მიზანი

სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოსამართლეებზე საქმეთა განაწილებით მანიპულირების შესახებ საფუძვლიანი ეჭვები, რომლებიც არაერთხელ წარმოიშვა ცალკეული მოსამართლეების მიერ გახმაურებული საქმეების განხილვის დროს, არაერთხელ გამხდარა კრიტიკის ობიექტი[11]. საქმეთა განაწილების ახალი წესის ამოქმედებამდე, სასამართლოებში საქმეები საქმეთა შემოსვლის რიგისა და მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით ნაწილდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ითვალისწინებდა თავმჯდომარის მიერ რიგითობის განსაზღვრის მიზნით ბრძანების გამოცემის ვალდებულებას, რიგ სასამართლოებში მოსამართლეთა რიგითობა სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით განისაზღვრებოდა. მაშინ, როდესაც ბრძანებით დადგენილი რიგითობის შემთხვევაშიც კი, არსებობდა შესაძლებლობა, საქმე სასამართლოს თავმჯდომარისთვის სასურველ მოსამართლეზე განაწილებულიყო, რთული შესაფასებელია, საქმეები რამდენად ნაწილდებოდა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით იმ სასამართლოებში, სადაც ბრძანება ან შესაბამისი წერილობითი დოკუმენტი საერთოდ არ არსებობდა[12].

საქმეთა განაწილების ახალი წესის შესაბამისად, თავმჯდომარეების ზემოაღნიშნული უფლებამოსილება ფაქტობრივად შეიზღუდა. ახალი სისტემით, საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეები სამი ძირითადი პროცედურით ნაწილდება, კერძოდ, შემთხვევითი განაწილების პროცედურით, საგამონაკლისო შემთხვევებში მოქმედი პროცედურითა და მორიგეობის პროცედურით.

ა) შემთხვევითი განაწილების პროცედურა

საქმეთა ელექტრონული განაწილების ზოგადი წესის შესაბამისად, საქართველოს საერთო სასამართლოებში მოსამართლეთა შორის საქმეები შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რიცხვების გენერირების ალგორითმის საფუძველზე ნაწილდება. საქმეთა შემთხვევითი განაწილების პროცედურა გულისხმობს მოსამართლეთა შორის საქმეების

[11] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა. „პოლიტიკურად მიკერძოებული მართლმსაჯულება საქართველოში“ 2015. გვ.7. ხელმისაწვდომია: http://gdi.ge/uploads/other/0/227.pdf [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[12] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის“, ანგარიში - „სასამართლო სისტემა: რეფორმები და პერსპექტივები“, 2017. გვ 71. ხელმისაწვდომია: http://www.coalition.ge/index.php?article_id=150&clang=0 [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

განაწილებას, ელექტრონული პროგრამის მიერ ავტომატურად შერჩეულ შესაბამისი კოლეგიის/პალატის/ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეზე[13].

მიუხედავად ელექტრონული პროგრამის სრულად ამოქმედებისა, შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმეების განაწილება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამის სპეციალიზაციაში ორი ან მეტი მოსამართლეა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს შერჩევა ორ ან მეტ მოსამართლეს შორის. იმის გათვალისწინებით, რომ რიგ რაიონული (საქალაქო) სასამართლოებში უფლებამოსილებას მხოლოდ 1 ან 2 მოსამართლე ახორციელებს (სულ 10 სასამართლო) ფაქტობრივად შეუძლებელია **შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვა[14].**

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით შემთხვევითი განაწილების პრინციპით საქმეები ასევე ნაწილდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს მოსამართლის აცილება/თვითაცილების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძველი, ასევე, ობიექტური მიზეზების გამო შეუძლებელია მის მიერ საქმის განხილვა. ამ კონკრეტულ შემთხვევებში საქმეები აღნიშნული მოსამართლის მონაწილეობის გარეშე ნაწილდება. თუმცა **ბუნდოვანია, თუ რა პროცედურას გადის** საქმე ხელახლა გასანაწილებლად, მოსამართლის აცილება/თვითაცილების შემთხვევაში. განსაკუთრებით კი იმ ფონზე, როდესაც საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის[15] თანახმად, აცილების მიღების ან თვითაცილების შემთხვევაში მოსამართლე საქმეს გადასცემს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომელიც შემდგომში საქმეს სხვა მოსამართლეზე ანაწილებს. საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი კი, სასამართლოს თავმჯდომარის საქმეთა განაწილების პროცესში პირდაპირ ჩარევას გამორიცხავს.

მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, ელექტრონულმა პროგრამამ, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციისა და თავად მოსამართლის მიერ წარმოდგენილი ნუსხის საფუძველზე, უზრუნველყოს იმ საწარმოების აღრიცხვა, რომელშიც მოსამართლეს ან მის ოჯახის წევრს აქვს რაიმე ტიპის ინტერესი და ავტომატურად მოხდეს მოსამართლისთვის ნებისმიერი საქმის აცილება, რომელიც რამენაირად დაკავშირებული იქნება ასეთ საწარმოებთან/ორგანიზაციასთან. შესაბამისად, საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე პროგრამამ აცილების კანონით დადგენილი მკაფიოდ ჩამოყალიბებული საფუძვლების არსებობისას თავად გამოთიშოს შესაბამისი მოსამართლე საქმის განაწილების პროცესიდან[16].

---

[13] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017. მუხლი 2.

[14] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 1.

[15] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი. მუხლი 34 (3). ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962 [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს]. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. მუხლი 62 (3), მუხლი 65. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/90034 [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[16] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 6.

ბ) საგამონაკლისო შემთხვევები, რომლებზეც შემთხვევითი განაწილების წესი არ ვრცელდება [17]

შემთხვევითი განაწილების წესი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომლებიც მოცემულია საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მე-3 მუხლში. ასეთ შემთხვევებს მიეკუთვნება ის გარემოებები, როდესაც:

- რაიონულ სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა ან შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლე მორიგეობს, ასევე, როდესაც შესაბამის მუნიციპალიტეტში მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი მოსამართლე ახორციელებს;
- ერთი მოსამართლის წარმოებაში არსებულ საქმესთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის, შუამდგომლობის, განმეორებითი სარჩელის, საჩივრის, ასევე, სარჩელის მიღების შემდეგ იმავე მხარეების მიერ იმავე საგანზე იმავე საფუძვლით სარჩელის განმეორებით წარდგენისას და ა.შ. საქმეების ავტომატურად მოხვედრა იმავე მოსამართლის წარმოებაში;
- კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისას, როდესაც საქმე უნდა მოხვდეს კონკრეტულ მოსამართლესთან ან საქმის კატეგორიის მიხედვით იგი მხოლოდ სასამართლოს თავმჯდომარის განსჯადია;
- სხვა შემთხვევებში, რომლებიც პირდაპირ არ გამომდინარეობს კანონის მოთხოვნიდან, თუმცა საქმეთა განაწილების ელექტრონული წესის საფუძველზე, საგამონაკლისო წესის შესაბამისად ნაწილდება;

აღნიშნული გამონაკლისების არსებობა გამორიცხავს (1) სასამართლო რესურსების უმიზნოდ ხარჯვას, (2) სასამართლოს მომხმარებელთა მცდელობას, რამდენიმე იდენტური სარჩელის, შუამდგომლობის, განმეორებითი სარჩელის, საჩივრის და ა.შ. წარგენით მოახვედროს საქმე მისთვის სასურველ მოსამართლესთან, (3) ასევე, ერთსა და იმავე საქმეზე ორი განსხვავებული გადაწყვეტილების გამოტანას სხვადასხვა მოსამართლის მიერ.

საგამონაკლისო შემთხვევების არსებობა, შეიძლება მნიშვნელოვნად და აუცილებლადაც შეფასდეს, თუმცა ის ფაქტი, რომ საგამონაკლისო შემთხვევების ჩამონათვალი ზემოაღნიშნულ შემთხვევებზე გაცილებით ფართოა, საფრთხეს უქმნის შემთხვევითი განაწილების პრინციპს და შედარებით აადვილებს საქმის განმხილველი მოსამართლის ვინაობის წინასწარ განჭვრეტას[18].

გ) მორიგეობით საქმეთა განაწილების პროცედურა

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის საფუძველზე, სასამართლოს თავმჯდომარეებს ენიჭებათ უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის ცალკეულ საქმეებზე, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს, საკუთარი ბრძანებით დაადგინონ მორიგეობა და არასამუშაო და სამუშაო საათებში

[17] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017. მუხლი 3 (1).

[18] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 3.

აღნიშნული საქმეების განაწილება ხორციელდება მოსამართლეთა მორიგეობის გრაფიკის მიხედვით[19].

მორიგეობის გრაფიკის შედგენის პროცედურულ საკითხებს, ვადებსა და მასში ცვლილებების განხორციელების წესს არცერთი ნორმატიული აქტი არ ადგენს, რის გამოც არ არსებობს ერთიანი მიდგომა, თუმცა დამკვიდრებული პრაქტიკით იგი სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დგება, მოსამართლეებთან შეთანხმებით და მათი საპროცესო დღეებისა და შვებულების გათვალისწინებით.

მორიგეობა სხვადასხვა სასამართლოში სხვადასხვაგვარად რეგულირდება. ზოგიერთ სასამართლოში მორიგეობისასა დაცულია სპეციალიზაციის მოთხოვნა, ზოგან კი აღნიშნული მოთხოვნა საერთოდ არ ვრცელდება. სხვგადასხვაგვარადაა დადგენილი მორიგეობისას საქმეთა განაწილების პროცედურა სამუშაო და არასამუშაო საათებში და იშვიათად გვხვდება მორიგეობისას საქმეთა შემთხვევითი განაწილების პროცედურის დაცვა. სასამართლოებში განსხვავებულია მორიგე მოსამართლეთა რაოდენობაც და იგი ძირითადად დაკავშირებულია სასამართლოს დატვირთულობასთან. განსხვავებული მიდგომებია მორიგეობის გრაფიკის საჯაროობასთან დაკავშირებითაც[20].

2.2. მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის უზრუნველყოფის მიზანი

როგორც უკვე აღინიშნა, საქმეთა ელექტრონული განაწილების სისტემის ამოქმედების ერთ-ერთი მთავარი მიზანი მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობის უზრუნველყოფაა.[21] კერძოდ, ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფს მოსამართლეთათვის საქმეთა შეძლებისდაგვარად თანაბარ განაწილებას, თუმცა ამ შემთხვევაში მხედველობაში არ მიიღება ელექტრონული პროგრამის ამოქმედებამდე მოსამართლეებზე განაწილებული და მათ წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობა,[22] ასევე, მორიგეობის დროს მორიგე მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობა.

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მე-5 მუხლის მე-4, მე-4[1] და მე-4[2] პუნქტებით დადგენილია საქმეთა ის კატეგორიები, რომლებიც მოსამართლეთა შორის შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით ნაწილდება და რომელთა განაწილებისასაც დაცული უნდა იქნეს ერთი და იმავე სპეციალიზაციის (ვიწრო სპეციალიზაციის) მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობა.

იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში ვერ მოხერხდეს მოსამართლეებზე საქმეების ზუსტად თანაბრად განაწილება, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი მსგავსი ვითარებისთვის ადგენს შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის

[19] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017. მუხლი 4 (12).

[20] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 4.

[21] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017. მუხლი 5 (1).

[22] მხედველობაში არ მიიღება ის საქმეები, რომლებიც მოსამართლეებს გაუნაწილდათ და წარმოებაში ჰქონდათ ელექტრონული პროგრამის ამოქმედებამდე.

ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობის მაქსიმალურ ოდენობას - 3 საქმეს. თუ შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობა სამს გაუტოლდება, ის მოსამართლე, რომელსაც ყველაზე მეტი საქმე აქვს განაწილებული, საქმეთა ელექტრონული განაწილების პროცესს, ზემოაღნიშნული სხვაობის შემცირებამდე, გამოეთიშება [23].

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შემოსული საქმეები შესაძლოა განაწილდეს:

ა) მაგისტრატ მოსამართლეებზეც, რომელთაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმის განხილვა თავისი სამოქმედო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ დაევალათ;

ბ) ასევე, მაგისტრატი მოსამართლის არყოფნის შემთხვევაში, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს შესაბამისი სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის.

მოსამართლეთა თანაბარი დატვირთულობა და მათ შორის მაქსიმუმ 3 საქმიანი სხვაობა საქმეთა განაწილების **ერთნაირი პროცენტული მაჩვენებლის** მქონე მოსამართლეთა შორის მოქმედებს. ზოგადი წესით, თუ არ არსებობს კონკრეტული მოსამართლისთვის საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით საგანგებოდ დადგენილი პროცენტული მაჩვენებელი, ან ეს პროცენტული მაჩვენებელი გარკვეულ შემთხვევებში სასამართლოს თავმჯდომარის მიერ არ არის დადგენილი, მოსამართლე ჩვეულებრივ საქმიანობს 100%-იანი დატვირთვით (განაწილების მაჩვენებლით).

მაგალითისათვის, თუ სასამართლოს რომელიმე კოლეგიაში სამი მოსამართლეა და სამივე მათგანისათვის განსაზღვრულია საქმის განაწილების 100% - იანი მაჩვენებელი, საქმეები ამ სამ მოსამართლეს შორის თანაბრად ნაწილდება. შესაბამისად, თუ სასამართლოში შემოსულია 90 საქმე, თითოეულ მოსამართლეს 30-30 საქმე დაეწერება (სხვაობა საქმეთა რაოდენობებს შორის არ უნდა აღემატებოდეს 3 საქმეს), რადგან თითოეულისთვის დატვირთვა 100%-ია.

მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან ასაცილებლად, მოსამართლის ჯანმრთელობისა და ოჯახური მდგომარეობის ან სხვა ობიექტური მიზეზის გათვალისწინებით, სასამართლოს თავმჯდომარემ, შესაძლებელია, შეამციროს მოსამართლეზე საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი, არაუმეტეს 50%-იანი ბიჯით[24].

მოსამართლეზე საქმეთა განაწილების პროცენტულ მაჩვენებელს იმ სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში/საგამოძიებო კოლეგიაში ან მაგისტრატი

[23] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017, მუხლი 5 (5).

[24] თუ მოსამართლეს საქმე უნაწილდება 100%იანი მაჩვენებლით, აღნიშნულ შემთხვევაში საქმეთა განაწილების მისი პროცენტული მაჩვენებელი შემცირდება 50%-ით და გახდება 50%, რაც გულისხმობს იმას, რომ მათ დაეწერება იმის ნახევარი საქმეები, რაც მანამდე ეწერებოდა.

მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელებისას - შესაბამის მუნიციპალიტეტში, ადგენს სასამართლოს თავმჯდომარე, თუ:

ა) მოსამართლეს დავალებული აქვს ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში /კოლეგიაში /პალატაში /საგამოძიებო კოლეგიაში საქმის განხილვა;

ბ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს დავალებული აქვს მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილების განხორციელება, ან პირიქით, მაგისტრატ მოსამართლეს ევალება რაიონული სასამართლოს საქმეების განხილვა;

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი პირდაპირ ადგენს საქმის განაწილების პროცენტულ მაჩვენებელს შემდეგი მოსამართლეებისათვის:

ა) საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი - 20%, ხოლო თუ წევრი ამავდროულად არის სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე - 10%[25] (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარემ შეიძლება 25%-იანი ბიჯით გაზარდოს);

ბ) იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა არ აღემატება 7-ს - 50%, ხოლო იმ სასამართლოს თავმჯდომარე, მისი მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე, სადაც მოსამართლეთა რაოდენობა აღემატება 7-ს - 20% (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარემ შეიძლება 25%-იანი ბიჯით გაზარდოს);

გ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სააპელაციო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეზე, გარდა კანონდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული განსჯადი საქმეებისა, ასევე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანზე, განსაკუთრებულ შემთხვევებში, შესაძლებელია განაწილდეს საქმეები, როგორც წესი, არაუმეტეს 5%-ისა[26].

მაგალითისათვის, განვიხილოთ შემთხვევა, როდესაც სასამართლოს რომელიმე სპეციალიზაციაში 4 მოსამართლე ჰყავს, სასამართლოში კი, 271 საქმეა შესული.

მოსამართლეთაგან:

A - არის სასამართლოს თავმჯდომარე 20%-იანი განაწილების მაჩვენებლით;

B - არის მოსამართლე 100%-იანი განაწილების მაჩვენებლით;

C - არის მოსამართლე 100%-იანი განაწილების მაჩვენებლით;

[25] თავდაპირველი რედაქციით, პროცენტული რაოდენობები, შესაბამისად, განსაზღვრული იყო 25%-ითა და 20%-ით.

[26] თავდაპირველ რედაქციაში „განსაკუთრებული გარემოების“ ნაცვლად მითითებული იყო „მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების“ მიზანზე, ხოლო პროცენტული მაჩვენებელი შეადგენდა 10%-ს.

D - არის მაგისტრატი მოსამართლე, რომელსაც თავმჯდომარის ბრძანებით დავალებული აქვს საქალაქო სასამართლოს მოსამართლის უფლებამოსილების შესრულება 50%-იანი განაწილების მაჩვენებლით;

წესის მიხედვით:

- ელექტრონული პროგრამით განაწილებულ საქმეთაგან B და C მოსამართლეებს შორის საქმეთა სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 3-ს;
- D მოსამართლეს უნდა ჰქონდეს B ან C მოსამართლეებზე გასანაწილებელ საქმეთა ნახევარი;
- ხოლო A მოსამართლეს - B ან C მოსამართლეებზე გასანაწილებელ საქმეთა 20%.



შესაბამისად, საქმის ელექტრონული პროგრამით განაწილების შემთხვევაში, 271 საქმიდან:

- A მოსამართლეს დაეწერება 20 საქმე;
- B მოსამართლეს დაეწერება 100 საქმე;
- C მოსამართლეს დაეწერება 101 საქმე;
- D მოსამართლეს დაეწერება 50 საქმე;

მაგალითი 1

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი განსხვავებულ რეგულაციას ადგენს მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების), ასევე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან მოსამართლის დაბრუნების შემთხვევებში.

წესის მიხედვით[27], საქმეთა საშუალო რაოდენობა შესაბამის კოლეგიაში (გარდა საგამოძიებო კოლეგიისა) /პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში დგინდება და შემდეგნაირად გამოითვლება - იკრიბება კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში არსებულ ყველა მოსამართლეთა შორის ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობა და მოსამართლეთა რაოდენობაზე იყოფა.

[27] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017, მუხლი 5 (10).

მაგალითად, თუკი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის ერთ-ერთ ვიწრო სპეციალიზაციაში (მაგალითი 1) უფლებამოსილებას ახორციელებს ოთხი მოსამართლე, ხოლო ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა რაოდენობა ვიწრო სპეციალიზაციაში 271 საქმეს შეადგენს, საქმეთა **საშუალო მაჩვენებლის** განსასაზღვრად, საქმეთა რაოდენობა იყოფა მოსამართლეთა რაოდენობაზე - 271 საქმე /4 მოსამართლეზე და ვიღებთ საქმეთა საშუალო მაჩვენებელს, დაახლოებით 68 საქმეს.

E ახალი მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების), ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან მოსამართლის დაბრუნებისას, იმისათვის, რათა ზემოაღნიშნულ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობა გაუთანაბრდეს ვიწრო სპეციალიზაციაში არსებულ მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა საშუალო მაჩვენებელს - 68 საქმეს, მისთვის საქმეთა განაწილების მაჩვენებელი 200%-ით გაიზრდება[28]. ეს კი გულისხმობს, რომ მას 3-ჯერ მეტი საქმე დაეწერება (300%-იანი დატვირთულობის მაჩვენებელი), ვიდრე მისნაირი პროცენტული დატვირთულობის მქონე მოსამართლეს, მანამდე, სანამ მასზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობა საქმეთა საშუალო მაჩვენებელს არ გაუტოლდება[29].

საქმეთა განაწილების წესი იყენებს „საქმეთა საშუალო რაოდენობის“ ცნებას და არა პროცენტულად დათვლილ საშუალო მაჩვენებელს. მოქმედი წესი სამართლიანია, როდესაც კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში მოქმედ მოსამართლეებს თანაბარი (ერთნაირი) განაწილების პროცენტული მაჩვენებლები აქვთ, მაგრამ რადგან იმის ალბათობა, რომ ყველა კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში ერთნაირი განაწილების პროცენტული მაჩვენებლის მქონე მოსამართლეები იქნებიან, საკმაოდ მცირეა, მიზანშეწონილია, საქმეთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი პროცენტული დატვირთულობის გათვალისწინებით განისაზღვროს.

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, თანამდებობაზე ახლად გამწესებულ მოსამართლეს (სხვა სასამართლოში მივლინებულ მოსამართლეს, აღნიშნული

---

[28] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/263-2018%20001.pdf [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].
აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ ცვლილებამდე საქმეთა განაწილების ელექტრონული წესით დადგენილი იყო ახალი მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების), ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან მოსამართლის დაბრუნებისას, საქმეთა განაწილების მაჩვენებელი 100%-ით გაზრდა, რასაც იუსტიციის საბჭო ჩვენს მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შენიშვნებში სრულიად საკმარისად მიიჩნევდა, თუმცა 2018 წლის პირველი ოქტომბერს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ანგარიშის განხილვიდან ერთი კვირის შემდეგ საქმეთა განაწილების წესში განხორციელდა ზემოაღნიშნული ცვლილება და საქმეთა განაწილების მაჩვენებელი კიდევ100%-ით გაზრდა (გახდა 300%).

[29] ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებული მოსამართლისათვის აღნიშნული მაჩვენებელი ბავშვის 1 წლის ასაკის მიღწევამდე - 150%-ით, ხოლო შემდეგ კი -200%-ით გაიზრდება.

მივლინების ვადის დასრულებისას), ასევე ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან დაბრუნებულ მოსამართლეებს, საქმეთა განაწილების პროცენტული მაჩვენებელი 200%-ით გაზრდილი აქვთ საქმეთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებლის **მიღწევამდე.**

მაგალითი 1-ის საფუძველზე, მოქმედი წესის თანახმად, საქმეთა რაოდენობის საშუალო მაჩვენებელი განაწილების დაწყებამდე შეადგენს 68 საქმეს. ამავე დროს, კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში მოქმედი 4 მოსამართლისაგან, 100%-იანი დატვირთულობის მაჩვენებელი მხოლოდ 2-ს აქვს.

მოსამართლეები	დატვირთულობის მაჩვენებელი	განაწილებულ საქმეთა რაოდენობა	საქმეთა საშუალო რაოდენობა
			(20+100+101+50)/4 = 68
A მოსამართლე	20%	20	
B მოსამართლე	100%	100	
C მოსამართლე	100%	101	
D მოსამართლე	50%	50	
	სულ:	271	

მაგალითი 2

არსებული რეგულაციის მიხედვით, სანამ ახალ E მოსამართლეს 3-ჯერ მეტი საქმე ეწერება ვიდრე სხვა 100%-იანი დატვირთულობის მქონე (B და C) მოსამართლეებს, საქმეთა გარკვეული რაოდენობა ამ უკანასკნელებზეც ნაწილდება (მაგალითი 3) და მაშინ როდესაც E მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობა მიაღწევს საქმეთა საშუალო მაჩვენებელს (დაახლოებით 88 საქმე), B და C მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების რაოდენობა უკვე დაახლოებით 130-131 საქმეს გაუტოლდება. საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით კი ამ დროს E მოსამართლის 300%-იანი დატვირთულობის მაჩვენებელი უნდა გაუქმდეს და გადავიდეს ჩვეულებრივ 100%-იან დატვირთულობაში. შესაბამისად, მიუხედავად საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მოთხოვნისა, რომ B, C და E მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობა არ უნდა აღემატებოდეს 3 საქმეს, ახალ (E) მოსამართლესა და (B და C) მოსამართლეებს შორის საქმეთა სხვაობა დაახლოებით 41 საქმეს შეადგენს და მოქმედი ფორმულით ამ მიზნის მიღწევა პრაქტიკულად გამორიცხულია.

მოსამართლეები	დატვირთულობის მაჩვენებელი	განაწილებულ საქმეთა რაოდენობა	წარმოებაში არსებული საქმეები არსებულ საქმეებს (მაგალითი 2) დამატებული შემოსული საქმეები	საქმეთა საშუალო რაოდენობა
A მოსამართლე	20%	5.964912281	25.96491228	87.88157895
B მოსამართლე	100%	29.8245614	129.8245614	
C მოსამართლე	100%	29.8245614	130.8245614	
D მოსამართლე	50%	14.9122807	64.9122807	
E მოსამართლე	300%	89.47368421	89.47368421	
		სულ: 170		

მაგალითი 3

როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს საინფორმაციო - ტექნოლოგიური ანალიტიკისა და დეველოპმენტის ჯგუფის ხელმძღვანელმა ზეპირსიტყვიერად განგვიმარტა, საქმეთა **საშუალო მაჩვენებელი** განისაზღვრება არა ერთჯერადად, ახალი მოსამართლის დანიშვნის მომენტისათვის არსებული მონაცემების საფუძველზე, არამედ პროგრესიით, რასაც აკლდება მოსამართლის მიერ დასრულებული საქმეები. კიდეც რომ დავუშვათ, რომ პროგრამა პროგრესიულად განაგრძობს საქმეთა საშუალო მაჩვენებლის გამოთვლას, დასრულებული საქმეების გამოკლებას საქმეთა საერთო რაოდენობისათვის და E მოსამართლისათვის დატვირთულობის გაზრდილი (300%-იანი) მაჩვენებლით საქმეების განაწილებას, B, C და E მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის 3 საქმიანი სხვაობის მაჩვენებლის მიღწევა მაინც შეუძლებელია, რადგან თუ A,B,C და D მოსამართლეები დაასრულებენ საქმეთა გარკვეულ რაოდენობას, შესაბამისად დაასრულებს იგივე ვიწრო სპეციალიზაციაში მყოფი E მოსამართლეც და აღნიშნული არგუმენტი ვერ უზრუნველყოფს საერთო სურათის შეცვლას[30].

აღსანიშნავია, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით დადგენილი არ არის, ვინ აუქმებს კონკრეტულ მოსამართლეზე გაზრდილი განაწილების პროცენტულ მაჩვენებელს. დამკვიდრებული პრაქტიკით, გაზრდილი დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებელი მექანიკურად, პროგრამისტის მიერ ამოქმედდება/სრულდება, რაც ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს. აუცილებელია აღნიშნული მოქმედებები თავად პროგრამამ უზრუნველყოს, გარე მოქმედებების დაუხმარებლად.

[30] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 7.

2.3. საქმეთა განაწილება მოსამართლის შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით დადგენილი ზოგადი წესის თანახმად, სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების[31] (შვებულება, სამსახურებრივი მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება) დროს მოსამართლეებზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც:

ა) შვებულების, სამსახურებრივი მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის ხანგრძლივობა არ აღემატება 5 დღეს, გასანაწილებელი საქმეების განხილვის ვადა კი, აღემატება 72 საათს[32];

ბ) საგამონაკლისო წესით განაწილებული საქმეებისა, და ისიც იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი იქნება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადების დაცვა.[33]

მოსამართლის უფლებამოსილების შეჩერებისას, საქმე შესაძლოა დროებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გადაეცეს იმავე სპეციალიზაციის სხვა მოსამართლეს, საქმეზე საპროცესო მოქმედების შესრულების საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევის, ან მხარის კანონიერი უფლებისა და ინტერესისათვის შუამდგომლობის განუხილველობით გამოწვეული შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად. აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმე განმხილველ მოსამართლეს უბრუნდება.[34]

როდესაც მოსამართლეს დროებით უჩერდება სამსახურებრივი უფლებამოსილება (ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულების გამოყენებისას) ან უწყდება უფლებამოსილება, მივლენილია სხვა სასამართლოში, ან გადაყვანილია იმავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში, ის საქმეები, რომლებიც საგამონაკლისო წესით კონკრეტულად მას უნდა დაწეროდა, შემთხვევითი განაწილების პრინციპით იმავე სპეციალიზაციის მოსამართლეზე ნაწილდება. ხოლო მოსამართლის იმავე სასამართლო კოლეგიის სხვა ვიწრო სპეციალიზაციაში გადასვლის შემთხვევაში, მასზე საგამონალისო წესით ნაწილდება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის საქმეები[35].

გარდა ამისა, საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის თანახმად, მოსამართლის მიერ არანაკლებ 7 დღით **შვებულებით ან სამსახურებრივი მივლინებით სარგებლობისას**, ასევე, **წინასწარ ცნობილი დროებით შრომისუუნარობის** გამო სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევაში, მასზე საქმეები არ ნაწილდება (გარდა მორიგეობის დროს შემოსული საქმეებისა), სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერებამდე 1 სამუშაო დღით

[31] იგულისხმება შვებულება, სამსახურებრივი მივლინება, დროებითი შრომისუუნარობა, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება; ასევე, განსაკუთრებული ობიექტური გარემოების არსებობის საფუძვლით.

[32] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017, მუხლი 4 (14).

[33] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017. მუხლი 3 (7).

[34] იქვე, მუხლი 4 (15).

[35] იქვე. მუხლი 3 (8).

ადრე რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში, 5 სამუშაო დღით ადრე - სააპელაციო და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში 2018 წლის 8 იანვარს შეტანილი ცვლილებით[36], მე-4 მუხლის მე-14 პუნქტს დაემატა „განსაკუთრებული ობიექტური გარემოების“ ცნება, რომლის არსებობის დროსაც მოსამართლეებზე არ ნაწილდება ის საქმეები, რომელთა განხილვის ვადაც 72 საათს არ აღემატება. განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებას შეიძლება მიეკუთვნებოდეს სხვადასხვა ოჯახური თუ პირადი ხასიათის მოულოდნელად წარმოშობილი გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის მოსამართლის სამუშაო ადგილზე გამოცხადებისა და მის მიერ უფლებამოსილების სათანადოდ განხორციელების შესაძლებლობას.[37] მიუხედავად იმისა, რომ წესი არაფერს ამბობს განსაკუთრებული ობიექტური გარემოების შესაძლო ხანგრძლივობაზე, უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი ხანგრძლივობა მოიცავს გონივრულ ვადას, რომელიც 2-3 დღეს არ აღემატება.

2018 წლის 12 თებერვლის ცვლილებებით[38], ზემოაღნიშნულ მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის მე-14[1] პუნქტი: მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ბოლო 2 თვის განმავლობაში მასზე საქმეები არ ნაწილდება, გარდა იმ სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეებისა, რომელთა განხილვის ვადა არ აღემატება 72 საათს. აღნიშნული ცვლილება მიზნად ისახავდა კანონით დადგენილი ასაკის გამო მოსამართლის უფლებამოსილების შეწყვეტამდე მოსამართლეზე განსახილველი საქმეების დაწერის შეწყვეტას. თუმცა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში მოგვიანებით შესული ცვლილების მიხედვით, აღნიშნული წესი არ ვრცელდება თანამდებობაზე 3 წლით გამწესებულ მოსამართლეებზე[39].

მე-5 მუხლის მე-16 პუნქტის თანახმად, თუ უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუმეტეს 3 თვის ვადაში, ყოფილი მოსამართლე იმავე თანამდებობაზე გამწესდება, ის საქმეები, რომლებიც მანამდე მის წარმოებაში იყო და უფლებამოსილების შეწყვეტის შემდგომ, შემთხვევითი განაწილების პრინციპით, იმავე სპეციალიზაციის მოსამართლეებზე გადანაწილდა, აღნიშნულ მოსამართლეს დაუბრუნდება.

2.4 საქმეთა განაწილება ელექტრონული სისტემის დროებით შეფერხებისას

[36] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/1 – 2018. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/1-2018.pdf [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[37] მიუხედავად იმისა, რომ თავად საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი არ აკონკრეტებს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს განსაკუთრებულ ობიექტურ გარემოებად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 იანვრის სხდომაზე, ცვლილების ავტორმა ზემოაღნიშნული ცნება სწორედ ასე განმარტა.

[38] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/94 – 2018, ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/92.pdf [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[39] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/213 – 2018 ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/213.pdf [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

ელექტრონული სისტემის გამართული ფუნქციონირება პირდაპირ კავშირშია საქმეთა განაწილების ახალი წესის სათანადო მოქმედებასთან. მნიშვნელოვანია, რომ ის წესები, რომლებიც სისტემის დროებითი შეფერხების შემთხვევაში მოქმედებს, დარეგულირდეს საკანონმდებლო და არა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის დონეზე. აღნიშნული რეკომენდაცია მოცემულია ვენეციის კომისიის დასკვნაშიც[40].

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი უფლებამოსილია ელექტრონული პროგრამის გარეშე, რიგითობის წესით გაანაწილოს საქმეები შემდეგ შემთხვევებში:

- ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას, რომლის ხანგრძლივობაც 2 დღეს აღემატება;
- სასამართლოში შემოსულია დაუყოვნებლივ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები, რომელთა განხილვის ვადაც 24,48 ან 72 საათია, ხოლო ელექტრონული სისტემის შეფერხების ხანგრძლივობა სამ საათს აღემატება;
- ელექტრონულ სისტემაში ნებისმიერი ხარვეზის წარმოშობისას, რომელიც ზემოაღნიშნული წესით არ არის გათვალისწინებული[41];

ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე ან სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი ატყობინებს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტს, სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტსა და ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელ პირს, რაც შესაბამისი აქტით ფორმდება.

ელექტრონული სისტემის დროებით შეფერხების აღმოფხვრას უზრუნველყოფს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტი ან ელექტრონული სისტემის გამართულ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირი, რის შესახებაც ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტსა და შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს ან კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს წარედგინება.

ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების აღმოფხვრისას, სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირი საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტს მიმართავს მოხსენებითი ბარათით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სასამართლოს კანცელარიის შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ განაწილებულ საქმეთა შესახებ, რის შემდეგაც რიგითობის წესით განაწილებულ საქმეებს ელექტრონულ სისტემაში ასახავს შემდეგი აღნიშვნით: „ელექტრონული რეგისტრაციის გარეშე“.

[40] ვენეციის კომისია CLD –AD 2014, პუნქტი 71. ხელმისაწვდომია: http://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2014)031-geo [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[41] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017. მუხლი 8 (2).

2.5. სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეთა განაწილების პროცესში ჩარევის რისკები

მიუხედავად იმისა, რომ საქმეთა განაწილების პროცესიდან სასამართლოს თავმჯდომარეთა დისტანცირება საქმეთა ელექტრონული განაწილების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დადებითი მხარეა, საქმეთა ელექტრონული განაწილების მოქმედი წესით, მათ კვლავ რჩებათ პროცესზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ბერკეტები.

- *ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრა და მისი ცვლა საკუთარი შეხედულებით;*

ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“ ადგენს, რომ საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო **ვიწრო სპეციალიზაცია**[42] ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები,[43] ხოლო სააპელაციო სასამართლოში, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია. 2018 წლის 30 აპრილამდე ვიწრო სპეციალიზაცია არსებობდა მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 30 აპრილიდან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით[44], ვიწრო სპეციალიზაციები თბილისის სააპელაციო სასამართლოშიც შეიქმნა.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი არ ადგენს სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილებას, განსაზღვროს ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შემადგენლობა, დამკვიდრებული პრაქტიკით, თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე მას განსაზღვრავს ერთპიროვნულად, საკუთარი ბრძანებით[45]. რაც იმას გულისხმობს, რომ მართალია, საქმეებს კონკრეტული სპეციალიზაციისა და ვიწრო სპეციალიზაციის მოსამართლეთა შორის ელექტრონული პროგრამა ანაწილებს, მაგრამ რომელი მოსამართლე იქნება მის შემადგენლობაში, ეს მთლიანად არის დამოკიდებული სასამართლოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებაზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით, იგივე უფლებამოსილება მიენიჭა თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს. მიგვაჩნია, რომ ამგვარი

---

[42] ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კოლეგიებში იქმნება თემატური ვიწრო სპეციალიზაციები, რომლებიც მხოლოდ თბილისის საქალაქო და თბიოლისი სააპელაციო სასამართლოებში მოქმედებს.

[43] ორგანული კანონი „საერთო სასამართლოების შესახებ“, მუხლი 30 (2).

[44] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება 1/176, 2018. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202018/176-2018.pdf [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[45] თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2018 წლის 18 იანვრის N02-ს, §01 ბრძანება „თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიებში დადგენილი ვიწრო სპეციალიზაციების მიხედვით მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ (ელექტრონული სახით ხელმისაწვდომი არ არის).

უფლებამოსილების არსებობა, სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან საქმეთა განაწილების პროცესში ჩარევის რეალურ რისკებს წარმოშობს.[46] მაგალითისათვის, თუკი არსებობს ვიწრო სპეციალიზაცია, რომელიც განიხილავს ისეთი კატეგორიის საქმეებს, სადაც შესაძლოა არსებობდეს სახელმწიფო, ბიზნეს ან კერძო ინტერესი და სასამართლოს თავმჯდომარე ამ ვიწრო სპეციალიზაციას ერთპიროვნულად, საკუთარი გადაწყვეტილებით მთლიანად დააკომპლექტებს მისთვის სასურველი მოსასმართლეებით, რა თქმა უნდა მას ექნება რეალური შესაძლებლობა იქონიოს გავლენა ამ ვიწრო სპეციალიზაციაში მოხვედრილ საქმეთა შედეგზე[47].

➢ *კოლეგიის შემადგენლობის ფორმირება*

საინტერესოა ის შემთხვევები, როდესაც სასამართლოში საქმე განიხილება არა ინდივიდუალურად ერთი მოსამართლის მიერ, არამედ კოლეგიურად (სამი მოსამართლის შემადგენლობით). რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას, არა თავად პროგრამა, არამედ სასამართლოს თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას, საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში ეს ცვლილება 2017 წლის 24 ივლისს შევიდა[48], მანამდე მოქმედი რედაქციით კი, რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას მოსამართლეთა საჭირო რაოდენობის შერჩევას ელექტრონული სისტემა უზრუნველყოფდა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაშია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსთან[49], მიგვაჩნია რომ იგი თავმჯდომარის მხრიდან საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის რეალური რისკების შემცველია. სწორედ ამიტომ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის მიერ მომზადებული და საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნა საკანონმდებლო წინადადება საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებების განხორციელების შესახებ[50].

რაც შეეხება სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებს, საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი ადგენს მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე საქმის

---

[46] კოალიცია „დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის“ - საჯარო განცხადება. ხელმისაწვდომია: http://gdi.ge/ge/news/koalicia-mixeil-chinchaladzisatvis-uflebamosilebis-gazrdas-saqmeta-shemtxveviti-ganawilebis-principis-safrtxed-afasebs.page [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[47] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 5 (ა).

[48] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/243 – 2017. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/243-2017.pdf [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[49] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოლექსი, მუხლი 26(2). ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/29962?publication=127 [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

[50] საქართველოს დემოკრატიული ინიციატივის საკანონმდებლო წინადადება. ხელმისაწვდომია: https://info.parliament.ge/#law-drafting/16334 [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].

განაწილების წესს და არაფერს ამბობს, თუ როგორ ფორმირდება კოლეგია/პალატა[51]. ამ პუნქტში ცვლილებები 2017 წლის 18 დეკემბერს შევიდა[52], თავდაპირველ რედაქციაში სასამართლოები არ ყოფილა დაკონკრეტებული, მხოლოდ საქმის კოლეგიურად განხილვის შემთხვევაზე იყო მითითებული. ამასთანავე, ელექტრონული სისტემა დამატებით უზრუნველყოფდა შესაბამისი კოლეგიის/პალატის შემადგენლობიდან საჭირო რაოდენობის მოსამართლეთა (გარდა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი მოსამართლისა) შერჩევას. იმ მოცემულობაში, როდესაც სასამართლოს თავმჯდომარეს ძალიან მარტივად შეუძლია ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა დაუსაბუთებელი გადაადგილება, მაღალია იმის რისკი, რომ თავმჯდომარე, მისთვის სასურველი ამა თუ იმ მოსამართლის დანიშვნის გზით, ჩაერიოს კოლეგიის ფორმირებაში, რამაც შესაძლოა უშუალო ზეგავლენა იქონიოს პროცესის მიუკერძოებლობაზე.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არგუმენტი[53], რომ ელექტრონული სისტემის მეშვეობით კოლეგიური შემადგენლობის ფორმირებამ შესაძლოა საქმეთა განხილვის გაჭიანურება გამოიწვიოს ლოგიკას მოკლებულია, ვინაიდან საქმეთა განხილვა არ ხდება საქმეთა განაწილების მომენტში, არამედ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადებში, რაც სრულიად საკმარისია საქმეთა ჩანიშვნისა და განხილვის პროცესის მენეჯმენტისათვის. რაც შეეხება კოლეგიების სიმყარეს, საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ე.წ. „მყარი/მუდმივი“ შემადგენლობების შექმნის შესძლებლობას. შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლოში არსებული კოლეგიები წარმოადგენს მოსამართლეთა შეთანხმებას, რომელიც შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეიცვალოს, მათ შორის სასამართლოს თავმჯდომარის სურვილითაც[54].

- *მოსამართლეთა მორიგეობის დადგენა;*

სასამართლოს თავმჯდომარე საკუთარი ბრძანებით განსაზღვრავს მოსამართლეთა მორიგეობის სიას. მორიგე მოსამართლე, როგორც არასამუშაო, ისე სამუშაო საათებში, ხშირ შემთხვევაში სპეციალიზაციისა და შემთხვევითობის პრინციპის უგულებელყოფით, განიხილავს სისხლისა და ადმინისტრაციული სამართლის იმ საქმეებს, რომელთა განხილვის ვადა 72 საათს არ აღემატება.

აღსანიშნავია, რომ მორიგეობის სიის შედგენის წესი კანონმდებლობით არ არის დარეგულირებული, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ თავმჯდომარეს შესაძლებლობა აქვს, სუბიექტური ფაქტორების გათვალისწინებით დააკომპლექტოს მორიგეობის სია სასურველი მოსამართლეებით მიუხედავად იმისა, რომ მორიგეობის გრაფიკი როგორც

[51] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/56 – 2017. მუხლი 4 (9).
[52] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება N1/326 – 2017. ხელმისაწვდომია: http://hcoj.gov.ge/files/pdf%20gadacyvetilebebi/gadawyvetilebebi%202017/326..pdf [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 28 ოქტომბერს].
[53] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 5 (ბ).
[54] იქვე, ნაწილი 5 (გ).

წესი დგება ყოველი თვის დასაწყისში და მოქმედებს ერთი თვის განმავლობაში,[55]ის არგუმენტი, რომ შეუძლებელია განსაზღვრა მორიგეობით განსახილველი საქმე რომელ მოსამართლეს დაეწერება არადამაჯერებელია, ვინაიდან მორიგეობით განსახილველი საქმეების გარკვეულ ნაწილზე კანონმდებლობა სამართალდამცავ ორგანოებს სასმართლოსათვის მიმართვაზე მოქნილობის შესაძლებლობას აძლევს. ასევე, შესაძლებელია გამოძიების მსვლელობისას მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებების შეზღუდვასთან დაკავშირებული საგამოძიებო, საპროცესო და ოპერატიულ სამძებრო მოქმედებათა ჩატარების შესახებ შუამდგომლობა საგამოძიებო ორგანოების მიერ წარდგენილი იქნეს მათთვის სასურველ დროს სასურველი მორიგე მოსამართლისათვის[56].

➢ *მოსამართლეთათვის საქმეების განხილვის დავალება*

გარკვეულ რისკებს შეიცავს ასევე სასამართლოს თავმჯდომარის უფლებამოსილება, მოსამართლეს დაავალოს საქმის ამავე სასამართლოს სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში) განხილვა, მაგისტრატ მოსამართლეს - თავისი სამოქმედო ტერიტორიის გარეთ საქმეების განხილვა, ხოლო რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლისათვის მაგისტრატი მოსამართლის საქმეების განხილვა. თუმცა აღნიშნული დანაწესი საქმეთა ელექტრონული განაწილების წესიდან უშუალოდ არ არის განპირობებული, რამდენადაც რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონით „საერთო სასამართლოების შესახებ“. მართალია, კანონის 30-ე მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულია „მართლმსაჯულების განხორციელების შეფერხების თავიდან აცილების“ მიზანსა და „თანხმობის“ აუცილებლობაზე, თუმცა, საკამათოა, თუ რამდენად არის აღნიშნული ჩანაწერები მოსამართლეზე ზემოქმედებისაგან დაცვის სათანადო და საკმარისი გარანტიები.

თავმჯდომარეებს, 2017 წლის 24 ივლისის N1/243 გადაწყვეტილებით, კოლეგიის/პალატების თავმჯდომარეებს, ხოლო 2017 წლის 27 დეკემბრის N1/329 გადაწყვეტილებით, უკვე თავმჯდომარის მოადგილესა და კოლეგიის/პალატების თავმჯდომარეებსაც - მიენიჭათ მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვისა და სისტემის დროებითი შეფერხების შემთხვევაში, მისი გვერდის ავლით, მოსამართლეთა რიგითობის მიხედვით, საქმეთა განაწილების უფლებამოსილება. თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭო ამ ცვლილებას თავმჯდომარეების ადმინისტრაციული ვალდებულებებისაგან განტვირთვით ხსნიდა, თუმცა, ცვლილების წარმოდგენილ პროექტში არაფერი იყო ნათქვამი, თუ რა შემთხვევებში შეეძლოთ ამ უფლებამოსილებით ესარგებლათ, მაგალითად, თავმჯდომარის მოადგილეს, ან კოლეგიების და პალატების თავმჯდომარეებს, რაც უფლებამოსილების დუბლირების რეალურ საფრთხეს ქმნიდა.

მოგვიანებით, 2018 წლის 8 იანვარს, ზემოაღნიშნულ მუხლში კიდევ ერთი ცვლილება შევიდა, რომლის თანახმადაც ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას საქმეთა რიგითობით განაწილების უფლებამოსილება კანცელარიის შესაბამის უფლებამოსილ პირს

[55] ბათუმის საქალაქო სასამართლოს შემთხვევაში მორიგეობის გრაფიკი დგება 3 (სამი) თვის ხანგრძლივობით.

[56] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 5(დ).

დაეკისრა, ხოლო სასამართლოს თავმჯდომარეებს, თავმჯდომარის მოადგილეებსა და კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეებს მხოლოდ მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების ხედვის უფლებამოსილება დარჩათ. როგორც ცვლილების ინიცირებისას იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე ითქვა[57], აღნიშნული ცვლილება საქმეთა განაწილების პროცესში სასამართლოების თავმჯდომარეთა ჩაურევლობის მიზანს ემსახურება, თუმცა, ჩვენი აზრით, ეს თავმჯდომარეების მხრიდან ფორმალური პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მექანიზმი უფროა, ვიდრე მათი პროცესში მონაწილეობის გამორიცხვა, რადგან მიგვაჩნია, რომ არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა თავმჯდომარეების დისტანცირება საქმის განაწილების პროცესიდან, ვინაიდან სასამართლოს კანცელარიაზე ზედამხედველობასა და კონტროლს სწორედ თავმჯდომარეები ახორციელებენ, თუნდაც, მისი უფროსის დანიშვნის კუთხით. შესაბამისად, კვლავ არსებობს თავმჯდომარეების მხრიდან შეფერხებისას საქმეთა განაწილების პროცესის ირიბი კონტროლის საშუალება[58].

3. საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ტექნიკური მახასიათებლები და გამოვლენილი პრობლემები

2017 წლის 23 მარტს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით[59], შეიქმნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინაშე ანგარიშვალდებული სამუშაო ჯგუფი, რომელთა სამთვიანი მუშაობის შედეგად, შემუშავდა საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამა და 2017 წლის 1 ივლისიდან იგი საპილოტე რეჟიმში ამოქმედდა რუსთავის საქალაქო სასამართლოში, ხოლო 2017 წლის 31 დეკემბრიდან - საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალ ყველა სასამართლოში.

სისტემის საპილოტე რეჟიმში ამოქმედების შემდეგ ჩვენ არაერთხელ გამოვითხოვეთ ელექტრონული პროგრამის ტექნიკური დავალება[60], როგორც საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოდან, ისე საქართველოს უზენაესი სასამართლოდან და საქართველოს იუსტიციის სამინისტროდან. მიუხედავად ამისა, არც ტექნიკური დავალება მოუწოდებიათ და არც ნათელი პასუხი, საერთოდ არსებობდა თუ არა აღნიშნული დოკუმენტი. მოგვიანებით, პირადი კომუნიკაციისას დაგვიდასტურეს, რომ პროგრამის ტექნიკური დავალება, როგორც პროგრამის შექმნის, ისე პროგრამის სრულად ამოქმედების მომენტისათვის, არ არსებულა.

---

[57] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 8 იანვრის სხდომა.

[58] იხილეთ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით. (დანართი 1), ნაწილი 5 (ე, ვ).

[59] საქართველოს მთავრობის დადგენილება N145-2017. ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3616935 [უკანასკნელად ნანახია 2018 წლის 20 აპრილს].

[60] დოკუმენტი, რომელმაც დეტალურად უნდა განსაზღვროს პროგრამის შესაქმნელად გამოყენებული საშუალებები, პროგრამული ალგორითმები, ტექნიკური აღწერილობა და მახასიათებლები, შინაარსობრივი და ფუნქციონალური ელემენტები, ასევე, პროგრამის მომხმარებელთა ტიპები და თითოეული მომხმარებლის უფლებამოსილება პროგრამაში.

პროგრამის შექმნა ტექნიკური დავალების გარეშე და ის ფაქტი, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესი არაფერს ამბობს თავად პროგრამაზე, თავისთავად ბევრ კითხვას აჩენს პროგრამის ხარისხთან დაკავშირებით. თუკი არ არსებობდა პროგრამის ფუნქციონალის წინასწარ გაწერილი მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც დეტალურად დაადგენდა: პროგრამის შესაქმნელად გამოყენებულ საშუალებებს, პროგრამულ ალგორითმებს, ტექნიკურ აღწერილობას და მახასიათებლებს, შინაარსობრივ და ფუნქციონალურ ელემენტებს, როგორ დადგინდა, რამდენად შეესაბამებოდა პროგრამის ალგორითმი საქმეთა ელექტრონული განაწილების წესს, ან რაზე დაყრდნობით იყო შესაძლებელი პროგრამის შემქმნელი ჯგუფის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, თუკი გარე დამკვირვებლის აზრით, პროგრამა პროგრამულ ხარვეზს შეიცავდა.

ვინაიდან მონიტორინგის განხორციელების საწყის ეტაპზე, პროგრამის ტექნიკური დავალების მოპოვება მისი არარსებობის გამო, შეუძლებელი გახდა, კვლევის ფარგლებში მოხდა პროგრამის ადგილზე გაცნობა და მისი ტექნიკური მახასიათებლებისა და ფუნქციონალის პრეზენტაცია საქართველოს უზენაესი სასამართლოს საინფორმაციო - ტექნოლოგიური ანალიტიკისა და დეველოპმენტის ჯგუფის ინიციატივით. პრეზენტაციის ფარგლებში გაიმართა პროგრამის ტექნიკური მახასიათებლების ზეპირი აღწერა და პროგრამის მომხმარებელთა ფუნქციებისა და მათი სამუშაო გვერდის (ე.წ. ინტერფეისის) დათვალიერება სატესტო სასამართლოს პროფილიდან.

მოგვიანებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან მოგვეწოდა საქმის ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების სისტემის ფუნქციონალური აღწერილობის დოკუმენტი, ე.წ. ტექნიკური დავალება, რომელიც ზოგადად პროგრამის ტექნიკურ მხარეს და უფრო დეტალურად, საქმის განაწილების სისტემის ადმინისტრირების მოდულისა და მომხმარებელთა როლების აღწერას მოიცავს.

3.1. საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ტექნიკური მახასიათებლები

სამუშაო გარემო შექმნილია Microsoft Windows Forms, C# პროგრამირების ენაზე. გამოყენებულია .Net Framework 4.5. ასევე გამოყენებულია დამხმარე ბიბლიოთეკა DevExpress WinForms v.17. საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემა არ არის სრულიად ახალი პროგრამა, არამედ მისი მოდული ჩაშენებულია (ინტეგრირებული) საქმის წარმოების პროგრამაში, რომელსაც გააჩნია ავტორიზაციის ფუნქცია და, შესაბამისად, განაწილების მოდული დამოუკიდებელ (ცალკე) ავტორიზაციას არ საჭიროებს.

ელექტრონული პროგრამის მთავარი ნოვაციაა საქმეთა შემთხვევითი განაწილების მოდულის (randomizer) არსებობა, რომელიც უზრუნველყოფს საქმეების განაწილებას პროგრამის მიერ შემთხვევით შერჩეულ მოსამართლეზე. პროგრამა იყენებს Microsoft-ის სტანდარტულ ფუნქციურ random-ს, (Microsoft-ის ჩაშენებულ „Random" ბიბლიოთეკა) რომელიც არაპროფესიონალური და შედარებით ნაკლებად დაცულია. სათამაშო ბიზნესები (მაგალითად, კაზინოები), რომელთათვისაც „random" ფუნქცია უმნიშვნელოვანესია,

იყენებს randomizer-ის სპეციალურ ფასიან device-ებს, რომლებიც გაცილებით უფრო პროფესიონალური და სანდოა.

საქმეთა განაწილების პროგრამის მთავარი გამოწვევაა თავად პროგრამის მთავარი მოდულის დაუცველობა, კერძოდ, ე.წ. Hard lock (hardening) არარსებობა, რაც გულისხმობს სისტემის დალუქვას და სისტემის რამდენიმე გასაღებიან (რამდენიმე საფეხურიან) დაცვას იმგვარად, რომ მასში ნებისმიერი სახის პროგრამული ცვლილების (ცვლილება პროგრამის ალგორითმში, მომხმარებლებისათვის გაწერილი ფუნქციების გაზრდა/შემცირება, ახალი მომხმარებლების მიბმა და ა.შ.) განსახორციელებლად საჭირო იყოს ყველა გასაღების მფლობელის თანხმობა. დაუცველი პროგრამა ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ პროგრამის ტექნიკური უზრუნველყოფის განმახორციელებელმა ჯგუფმა პროგრამაში ნებისმიერ დროს შეიტანოს ისეთი ტიპის ცვლილებები, რომელიც საშუალებას მისცემს პროგრამას, გააკონტროლოს საქმეთა განაწილების პროცესი და კონკრეტული საქმე სასურველ მოსამართლესთან მოახვედროს. მაგალითისათვის, შექმნას დამატებითი მომხმარებელი (user), რომელსაც წინასწარ გაწერილი ალგორითმის საფუძველზე შეეძლება საქმის შემთხვევითი განაწილების ეტაპზე გადასვლამდე (pre control), გარკვეული კატეგორიის საქმეები ერთ კონკრეტულ მოსამართლესთან მოახვედროს, რაღაც პერიოდის შემდგომ კი, ეს მომხმარებელი საერთოდ გააუქმოს ისე, რომ შემდგომში შეუძლებელი იქნება ასეთი user-ის არსებობის დადასტურება.

ასეთი ტიპის ქმედებებისაგან დასაცავად არსებობს აპრობირებული საერთაშორისო გამოცდილება, როგორიცაა პროგრამის დაცვის რამდენიმე გასაღებიანი სისტემები. პროგრამა გადის აუდიტს, მოწმდება სისტემის ალგორითმი, სისტემაში დაცული ინფორმაცია, ყველა მომხმარებელი და მათი ფუნქციები, რის შემდეგაც ილუქება, ხოლო ყველა ჯერზე, როდესაც კი აუცილებელი გახდება პროგრამაში პროგრამული ცვლილების განხორციელება, მას დასჭირდება ყველა გასაღების მფლობელის თანხმობა და ცვლილების შემდგომ პროგრამა ისევ დაილუქება.

საინფორმაციო-ტექნოლოგიური ანალიტიკისა და დეველოპმენტის ჯგუფის განცხადებით, ელექტრონული პროგრამა თითქმის ყოველ კვირას ახლდება. ამაში იგულისხმება როგორც უმნიშვნელო ტექნიკური განახლებები, ისე პროგრამულიც, რომელიც დამოკიდებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საქმეთა ელექტრონული განაწილების წესში შეტანილ ცვლილებებზე. დღეისათვის გაურკვეველია, თუ რა მექანიზმით და ვის მიერ გაიცემა თანხმობა პროგრამის განახლებაზე.

3.2. საქმეთა განაწილების პროცესი

სასამართლოს კანცელარიაში შესულ სარჩელს, შესაგებელს, განცხადებას, შუამდგომლობას და ა.შ. ენიჭება რეგისტრაციის ნომერი, რომელიც მხარეს გადაეცემა. ამის შემდგომ საქმეს ფორმალურად ამოწმებს კანცელარიის მუშაკი და იმ შემთხვევაში, თუკი წარდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, ხდება მისი სკანირება და ატვირთვა ელექტრონულ პროგრამაში. ატვირთვის შემდგომ კანცელარიის მუშაკი თავად ირჩევს საქმის სპეციალიზაციას (თბილისის საქალაქო სასამართლოსა და

თბილისის სააპელაციო სასამართლოს შემთხვევაში - ვიწრო სპეციალიზაციასაც) და საქმის განაწილების პროცედურას (დაწვრილებით იხილეთ თავი 2): შემთხვევითი განაწილების, საგამონაკლისო და მორიგეობით. საგამონაკლისო წესის გამოყენების შემთხვევაში იგი თავად უთითებს, თუ რომელ მოსამართლეს უნდა დაეწეროს საქმე. მორიგეობის შემთხვევაშიც, პირდაპირ მიეთითება მოსამართლე მორიგეობის გრაფიკის შესაბამისად. რაც შეეხება შემთხვევითი განაწილების პრინციპის გამოყენებას, აქ პროგრამა თავად უზრუნველყოფს მოსამართლის შერჩევას.

საქმეთა ელექტრონული განაწილების წესის მიხედვით, ერთსა და იმავე სპეციალიზაციაში/ვიწრო სპეციალიზაციაში/კოლეგიაში/პალატაში, თანაბარი დატვირთულობის პროცენტული მაჩვენებლის მქონე მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა შორის სხვაობა 3 საქმეს არ უნდა აღემატებოდეს. სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს, რომელთაც მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა აქვთ, შეუძლიათ მარტივად განსაზღვრონ კონკრეტულ მომენტში გასანაწილებლად პროგრამაში ჩაშვებული საქმე დიდი ალბათობით რომელ მოსამართლეს დაეწერება და, შესაბამისად, თუკი მხოლოდ ერთი საქმე იქნება განაწილებული, მათ შეეძლებათ განაწილების პროცესსა და საქმის შედეგზე იქონიონ გავლენა.

მაგალითად, ერთ-ერთ ვიწრო სპეციალიზაციაში A მოსამართლეს განაწილებული აქვს 25 საქმე, B მოსამართლეს - 23, ხოლო C მოსამართლეს - 21 ან თუნდაც 22. ძალიან მარტივად განჭვრეტადია, რომ მხოლოდ ერთი საქმის განაწილების შემთხვევაში საქმე დიდი ალბათობით C მოსამართლეს დაეწერება.

ამგვარი შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად, მიგვაჩნია, რომ უნდა განისაზღვროს შემოსული საქმეების ერთდროულად განაწილების ზუსტი დრო (მაგალითად, დღის განმავლობაში 2-3 ჯერ, ერთსა და იმავე დროს) და პროგრამას ჰქონდეს შესაძლებლობა ერთდროულად ბევრი საქმე გაანაწილოს შემთხვევითი განაწილების პრინციპით, რა დროსაც პროგრამულად მოხდება თავად საქმეების არევაც და მათი განაწილება შემოსვლის რიგითობის დაუცველად. აღნიშნული მეთოდი გამორიცხავს იმ მოსამართლის წინასწარ განსაზღვრის შესაძლებლობას, რომელსაც კონკრეტული საქმე დაეწერება.

ელექტრონულ პროგრამაში განხორციელებული ყველა ქმედება ლოგირდება, რაც იმას ნიშნავს, პროგრამა ინახავს პროგრამულად განხორციელებულ ყველა ქმედებას, მათ შორის, კონკრეტული საქმის სასამართლოში შესვლიდან მასზე ნებისმიერი მოქმედების განხორციელების შესახებ ინფორმაციას და პროგრამული აუდიტის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელებული ქმედებების ქრონოლოგიის ამოღება. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ფუნქცია ცალსახად დადებითად უნდა შეფასდეს, მნიშვნელოვანია განისაზღვროს და დადგინდეს, თუ ვის და რა საფუძვლით ენიჭება უფლებამოსილება, ამოიღოს პროგრამიდან ლოგი და ვის შეუძლია შეამოწმოს, ამოღებული ლოგი შეესაბამება თუ არა საქმეთა ელექტრონული განაწილების წესით დადგენილ ნორმებს.

ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებაზე დაკვირვებისას რჩება შთაბეჭდილება, რომ პროგრამა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული და იგი დამუშავებისა და დახვეწის ეტაპზეა,

ამასთანავე, რეგულირების მიღმაა დარჩენილი მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც პირდაპირ კავშირშია პროგრამის გამართულობასა და სანდოობასთან.

3.3. პროგრამის მომხმარებელთა ტიპები

- *ადმინისტრატორი / იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი;*

ადმინისტრატორის ფუნქციის მქონე მომხმარებელს - იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტს აქვს, როგორც პროგრამაში დაცული ინფორმაციის (მთელი საქართველოს მაშტაბით) ხედვის, ისე შემდეგი მონაცემების (არა პროგრამული) რედაქტირების საშუალება:

ა) მოსამართლეთა შესაბამის სპეციალიზებულ შემადგენლობაში/კოლეგიაში/პალატაში/ვიწრო სპეციალიზაციაში რეგისტრაციას, რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილების, შესწორების ან დამატების შეტანა;

ბ) რეგისტრაციის მონაცემების გაუქმება;

გ) მოსამართლის შვებულების, მივლინებისა და დროებითი შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციის ელექტრონულ სისტემაში ასახვა;

- *სასამართლო თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარე;*

სასამართლოს თავმჯდომარეს, თავმჯდომარის მოადგილეს, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარეს აქვთ მათ სასამართლოში (მათ შორის, ცალკეულ მოსამართლეებზე) განაწილებულ საქმეთა ხედვისა და საქმეებზე სათადარიგო მოსამართლის შერჩევის შესაძლებლობა.

- *დამთვალიერებელი;*

დამთვალიერებლის უფლების მქონე მომხმარებელს აქვს მხოლოდ სისტემაში არსებული მონაცემების ხედვის უფლებამოსილება.

- *სასამართლოს კანცელარია.*

სასამართლოს კანცელარიას აქვს წვდომა საქმეთა განაწილების ფანჯარაზე, სადაც განაწილების პრინციპი გამომდინარეობს იქიდან, თუ რომელი უფლება აქვს ჩართული კონკრეტულ სასამართლოს.

გარდა ზემოაღნიშნული მომხმარებლებისა, არსებობს ადმინისტრატორის ფუნქციის მქონე - პროგრამის შემქმნელი ტექნიკური ჯგუფი, რომელსაც შეუძლია როგორც ელექტრონულ პროგრამაში დაცული ინფორმაციის (მთელი საქართველოს მასშტაბით) ხედვა, ასევე, პროგრამაში ნებისმიერი პროგრამული ცვლილების განხორციელება.

4. რეკომენდაციები:

- კანონში დეტალურად გაიწეროს ელექტრონული სისტემის ფუნქციონირებისა და სისტემის დროებითი შეფერხებისას მოქმედი წესები;
- სასამართლოებში სპეციალიზაციების შიგნით ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობა დაადგინოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის რეკომენდაციით;
- საქმეთა განაწილების ელექტრონული წესით შეიზღუდოს ყველა ის უფლებამოსილება, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარეს ანიჭებს საქმის განაწილების პროცესში ჩარევისა და საქმის შედეგზე ზეგავლენის შესაძლებლობას;
- საქმის განაწილების ელექტრონულ წესში სათანადოდ გაიწეროს მოსამართლის აცილების/თვითაცილებისას საქმის ხელახლა განაწილების პროცედურა და მომზადდეს შესაბამისი საკანონდებლო წინადადების პროექტი სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ;
- საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად ელექტრონულმა პროგრამამ, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციისა და თავად მოსამართლის მიერ წარმოდგენილი ნუსხის საფუძველზე, უზრუნველყოს კანონით დადგენილი აცილების საფუძვლების არსებობისას მოსამართლის ავტომატური აცილება;
- მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების (სხვა სასამართლოში მოსამართლის მივლინების, აღნიშნული მივლინების ვადის დასრულების), ასევე, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებიდან მოსამართლის დაბრუნების შემთხვევებში, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილებულ საქმეთაგან წარმოებაში არსებულ საქმეთა საშუალო რაოდენობის დასადგენად, გამოყენებულ იქნას პროცენტულად დათვლილი საშუალო მაჩვენებელი;
- საქმეთა განაწილების ელექტრონულ წესში გაიწეროს მორიგეობის გრაფიკის შედგენის პროცედურა, ვადები და მასში ცვლილებების განხორციელების წესი;
- განხორიციელდეს შესაბამისი ცვლილება ელექტრონულ პროგარამაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დადგენილ დროს საქმეთა ერთდროულად განაწილება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით, რა დროსაც პროგრამულად მოხდება თავად საქმეების არევაც და მათი განაწილება მოხდება შემოსვლის რიგითობის დაუცველად;
- უზრუნველყოფილ იქნეს ელექტრონული პროგრამის მთავარი მოდულის დალუქვა, შეიქმნას რამდენიმე გასაღები, რომლიდანაც მინიმუმ ერთი ექნება არა სასამართლო

სისტემის წარმომადგენელს და პროგრამაში ნებისმიერი სახის ცვლილება განხორციელდეს ყველა უსაფრთხოების გასაღების მფლობელის თანხმობით;

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს მიეცეთ ცალკეულ მოსამართლეებზე განაწილებული საქმეების ხედვის უფლებამოსილება;
- დაინერგოს ელექტრონული სისტემის ფუნქციონირების შეფასების სისტემა;
- უზრუნველყოფილ იქნეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტში შესაბამისი პასუხისმგებელი პირის (დეპარტამენტის თავმჯდომარის) დანიშვნა.

(დანართი 1)

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შენიშვნები და მოსაზრებები საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილების ახალი სისტემის სამართლებრივი და ტექნიკური ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით

1. კვლევაში მითითებულია, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში შემავალი 29 ასამართლოდან საქმეთა შემთხვევითი განაწილება რეალურად მოქმედებს მხოლოდ 8 სასამართლოში, ვინაიდან დანარჩენ სასამართლოებში არ არის უზრუნველყოფილი ერთსა და იმავე სპეციალიზაციაში ორი ან მეტი მოსამართლის მიერ უფლებამოსილების განხორციელება.

აღნიშნული შეფასება არ შეესაბამება რეალობას. შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით საქმეები ნაწილდება ყველა სასამართლოში, გარდა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე- ტყვარჩელის რაიონული სასამართლოსი, ვინაიდან ამ სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლეა. ამასთან, საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპი არ მოქმედებს იმ მუნიციპალიტეტებში, სადაც მაგისტრატი მოსამართლის უფლებამოსილებას მხოლოდ ერთი მოსამართლე ახორციელებს და აღნიშნულ შემთხვევას ითვალისწინებს „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი. ყველა სხვა სასამართლოში არის შესაბამისი სპეციალიზაციის მქონე მოსამართლეთა შესაბამისი რაოდენობა, რომელთაც სპეციალიზაცია განსაზღვრული აქვთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით ან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე სასამართლოს თავმჯდომარის მიერ დავალებული აქვთ საქმის განხილვა სხვა სპეციალიზებულ შემადგენლობაში (სასამართლო კოლეგიაში). შესაბამისად, საქმეები ნაწილდება შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით.

2. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესში“ განხორციელებული ცვლილებების რაოდენობასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ მითითებული წესი ყველა სასამართლოში სრულად ამოქმედდა 2017 წლის 31 დეკემბრიდან. ელექტრონული სისტემის ამოქმედების საწყის ეტაპზე საჭირო გახდა წესში ცვლილებების განხორციელება, რაც გამოწვეული იყო პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის აუცილებლობით და რომელთა განჭვრეტა ობიექტურად ვერ მოხდებოდა წესის შემუშავების პროცესში. შესაბამისად, აღნიშნულ წესში შესული ცვლილებების უმრავლესობა განხორციელებულია ელექტრონული პროგრამის ამოქმედების საწყის ეტაპზე, რაც წარმოადგენს ბუნებრივ პროცესს და არ გულისხმობს პროგრამის ფუნქციონირების სამართლებრივი რეგულირების არასრულყოფილებას.

3. კვლევაში საუბარია „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესით“ გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებზე, რომლებზეც არ ვრცელდება შემთხვევითი განაწილების წესი და აღნიშნული შემთხვევების არსებობა მნიშვნელოვნად და აუცილებლადაც არის შეფასებული, თუმცა გამოთქმულია მოსაზრება, რომ აღნიშნული საფრთხეს უქმნის

შემთხვევითი განაწილების პრინციპს და შედარებით აადვილებს საქმის განმხილველი მოსამართლის ვინაობის წინასწარ განჭვრეტას.
აღსანიშნავია, რომ მითითებული წესით გათვალისწინებული საგამონაკლისო შემთხვევები, ძირითადად, არის ერთგვაროვანი და თითოეული საგამონაკლისო შემთხვევა ემსახურება მართლმსაჯულების ეფექტიანად განხორციელების ინტერესს. შესაბამისად, საგამონაკლისო შემთხვევების რაოდენობრივი ფაქტორი არ უნდა იქნეს განხილული საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპის საფრთხედ.

4. კვლევაში აღნიშნულია, რომ მოსამართლეთა სპეციალიზაციის მოთხოვნა და შემთხვევითი განაწილების პრინციპი არ ვრცელდება მორიგეობის დროს გასანაწილებელ საქმეებზე, რაც არასწორია. „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შემთხვევითი განაწილების პრინციპი არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში შესაბამისი სპეციალიზაციის მხოლოდ ერთი მოსამართლე მორიგეობს. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმ სასამართლოებში, სადაც მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობაა, მორიგეობისას დაცულია როგორც სპეციალიზაციის, ისე საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპი.
კვლევაში საუბარია, რომ მორიგეობის შემთხვევაში პირდაპირ ხდება მოსამართლის მითითება მორიგეობის გრაფიკის მიხედვით, რაც არ შეესაბამება რეალობას. მორიგეობას დაქვემდებარებული საქმეების განაწილებისას ხდება მხოლოდ საქმის კატეგორიის და მორიგეობის ტიპის მითითება და ელექტრონული პროგრამა მორიგეობის გრაფიკში მითითებული მოსამართლეებიდან შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით უზრუნველყოფს საქმის განაწილებას.

5. კვლევაში ყურადღებაა გამახვილებული სასამართლოს თავმჯდომარის მიერ საქმეთა განაწილების პროცესში ჩარევის რისკებზე და აღნიშნულია, რომ საქმეთა ელექტრონული განაწილების მოქმედი წესით მათ კვლავ რჩებათ პროცესზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ბერკეტები, კერძოდ:

ა) კვლევაში აღნიშნულია, რომ სასამართლოს თავმჯდომარეთა მიერ ვიწრო სპეციალიზაციებში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის უფლებამოსილება წარმოადგენს საქმეთა განაწილების პროცესზე ზემოქმედების მნიშვნელოვან ბერკეტს.
„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, „საქმეთა წარმოების განსაკუთრებული ინტენსიურობის მქონე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, სადაც ორზე მეტი მოსამართლეა, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს მოსამართლეთა უფრო ვიწრო სპეციალიზაცია ან შეიქმნას სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები (შემდგომში – სასამართლო კოლეგიები), ხოლო იმავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობას ადგენს და სასამართლო კოლეგიების შემადგენლობას განსაზღვრავს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიებისაგან განსხვავებით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციას არ განეკუთვნება ვიწრო სპეციალიზაციების შემადგენლობათა განსაზღვრა. ამ უფლებამოსილებას ახორციელებს სასამართლოს თავმჯდომარე მოსამართლეთა ნების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციები არსებობს მხოლოდ თბილისის საქალაქო და თბილისის სააპელაციო სასამართლოებში, სადაც მოსამართლეთა საერთო რაოდენობიდან გამომდინარე, თითოეულ ვიწრო სპეციალიზაციაში უფლებამოსილებას ახორციელებს რამდენიმე მოსამართლე და მათ შორის საქმეთა განაწილებისას მოქმედებს შემთხვევითობის პრინციპი. ამასთან, როგორც წესი, მოსამართლის ვიწრო სპეციალიზაციის ცვლილება არ ხორციელდება. აქედან გამომდინარე, ობიექტურად შეუძლებელია საქმეთა

განაწილების პროცესში სასამართლოს თავმჯდომარეთა თვითნებობა ვიწრო სპეციალიზაციაში მოსამართლეთა შემადგენლობის განსაზღვრის გზით. შესაბამისად, ვერ დავეთანხმებით დოკუმენტში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ ამგვარი უფლებამოსილების არსებობა სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან საქმეთა განაწილების პროცესში ჩარევის რეალურ რისკებს წარმოშობს.

ბ) რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში საქმის კოლეგიურად განხილვისას სასამართლოს თავმჯდომარის მიერ კოლეგიური შემადგენლობის განსაზღვრის უფლებამოსილება გამომდინარეობს საპროცესო კანონმდებლობიდან. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არის მოსამართლეთა საკმარისი რაოდენობა კოლეგიური შემადგენლობით საქმეთა განხილვისათვის, ერთპიროვნულად საქმის განმხილველ მოსამართლეს შეუძლია დაადგინოს საქმის კოლეგიური განხილვა სამი მოსამართლის შემადგენლობით, რის შესახებაც მოსამართლეს გამოაქვს მოტივირებული განჩინება, რომელიც გადაეცემა სასამართლოს თავმჯდომარეს და სწორედ თავმჯდომარე განსაზღვრავს კოლეგიურ შემადგენლობას ამ საქმის განმხილველი თავდაპირველი მოსამართლის აუცილებელი მონაწილეობით. შესაბამისად, საქმეთა განაწილების წესში ასახული რეგულაცია შესაბამისობაშია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

გ) რაც შეეხება სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში კოლეგიური შემადგენლობის ფორმირების წესს, კვლევაში აღნიშნულია, რომ საქმეთა განაწილების არსებული წესი ადგენს მხოლოდ სხდომის თავმჯდომარეზე/მომხსენებელ მოსამართლეზე საქმის განაწილების წესს და არაფერს ამბობს პალატის ფორმირებაზე, მაშინ როდესაც წესის თავდაპირველი რედაქციის მიხედვით ელექტრონული სისტემა დამატებით უზრუნველყოფდა საჭირო რაოდენობის მოსამართლეთა შერჩევას.
ელექტრონული სისტემის მეშვეობით კოლეგიური შემადგენლობის ფორმირებამ შესაძლოა გამოიწვიოს მოსამართლეთა მიერ საქმეთა განხილვის გაჭიანურება. კერძოდ, ელექტრონული სისტემის მიერ კოლეგიური შემადგენლობის შერჩევის შემთხვევაში, რთულდება კოლეგიაში შემავალი მოსამართლეების (როგორც სხვა საქმეზე მომხსენებელი მოსამართლეების) მიერ საქმეთა ჩანიშვნისა და განხილვის პროცესის მენეჯმენტი. შესაბამისად, პრაქტიკაში წინასწარ არის დადგენილი მყარი კოლეგიური შემადგენლობები, რაც ხელს უწყობს მასში შემავალი მოსამართლეების მიერ თავიანთ წარმოებაში არსებული საქმეების სწორი მენეჯმენტის განხორციელებას. შესაბამისად, უსაფუძვლოა გამოთქმული ვარაუდი სასამართლოს თავმჯდომარის მხრიდან კოლეგიის ფორმირებაში ჩარევის რისკის შესახებ, მისთვის სასურველი ამა თუ იმ მოსამართლის დანიშვნის გზით.

დ) კვლევაში მითითებულია, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს მოსამართლეთა მორიგეობის სიის შედგენის პროცედურულ საკითხებს, რაც სასამართლოს თავმჯდომარეებს უტოვებს დისკრეციას სპეციალიზაციისა და შემთხვევითობის დაუცველად, სუბიექტური შეხედულებებით ერთპიროვნულად დააკომპლექტოს მორიგეობის სია სასურველი მოსამართლეებით. აღნიშნული დისკრეცია კი იძლევა საქმის სასურველ მოსამართლესთან მოხვედრისა და შესაბამისად შედეგზე ზეგავლენის აშკარა შესაძლებლობას.
აღნიშნული შეფასება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს. მორიგეობის გრაფიკი დგინდება არა კონკრეტული საქმის განაწილებისას, არამედ კონკრეტული პერიოდისათვის (მაგ. ყოველი თვის დასაწყისში) განისაზღვრება წინასწარ, მოსამართლეთა ანბანური რიგითობის ან მათი მოსაზრებების გათვალისწინებით. მორიგეობის გრაფიკი დგინდება ბევრად ადრე, ვიდრე საქმე გასანაწილებლად შევა სასამართლოში. შესაბამისად, საქმე განაწილდება იმ მოსამართლეზე, რომელსაც საქმის განაწილებისას ობიექტურად უწევს მორიგეობა და გამორიცხულია სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ერთი თვით ადრე იმის

განსაზღვრა, თუ სავარაუდოდ რომელი საქმე რომელ მოსამართლეზე იქნება განაწილებული მორიგეობის დროს.
ე) კვლევაში სასამართლოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, კოლეგიის/პალატის თავმჯდომარის მიერ ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია იმის განმარტება, რომ განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა დისტანცირებულია საქმეთა განაწილებისაგან და ემსახურება მხოლოდ სასამართლოს გამართული ფუნქციონირების ინტერესს. საუბარია იმაზე, რომ აღნიშნულ პირებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, გარკვეული პერიოდულობით შეამოწმონ მოსამართლეებზე განაწილებულ საქმეთა თანაბრობა, თუ რამდენად წესის მოთხოვნების შესაბამისად ხდება ელექტრონული პროგრამის მიერ საქმეთა განაწილება. შესაბამისად, აღნიშნული უფლებამოსილება არ გულისხმობს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ ელექტრონული პროგრამის მიერ საქმეთა განაწილების ტექნიკური პროცესის ზედამხედველობას. მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების პროცესს წარმართავს ელექტრონული პროგრამა და სასამართლოს თავმჯდომარეს არავითარი შემხებლობა არ აქვს აღნიშნულ პროცესთან. ამასთან, საქმეთა შემთხვევითი განაწილების პრინციპი შეუძლებელს ხდის მოსამართლის წინასწარ განჭვრეტის შესაძლებლობას. შესაბამისად, კვლევაში მოყვანილი მაგალითი, რომლის მიხედვითაც სასამართლოს თავმჯდომარეს შეუძლია მარტივად განსაზღვროს კონკრეტულ მომენტში პროგრამაში გასანაწილებლად ჩაშვებული საქმე დიდი ალბათობით რომელ მოსამართლეს დაეწერება, არის მცდარი.
კვლევაში შემოთავაზებულია რეკომენდაცია, რომ აუცილებელია განისაზღვროს ზუსტი დრო და პერიოდულობა, როდესაც მოხდება შემოსული საქმეების ერთდროულად განაწილება, რაც გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ წინასწარ განისაზღვროს მოსამართლე, რომელსაც კონკრეტული საქმე დაეწერება.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს თავმჯდომარეთა მიერ საქმის განაწილების პროცესში ჩარევის რისკი არ არსებობს, მაგრამ ასეთი რისკის არსებობის შემთხვევაშიც კი შემოთავაზებული რეკომენდაცია არ წარმოადგენს საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობას, რადგან თუ დავუშვებთ, რომ საქმეთა განაწილებისას მოსამართლეთა განჭვრეტა შესაძლებელია, აღნიშნულის განხორციელება მით უფრო მოსახერხებელი იქნება შემოსულ საქმეთა დაგროვებისა და ერთდროულად განაწილების შემთხვევაში.
აღნიშნული „რისკების“ ფონზე კიდევ უფრო გაუგებარია, თუ რა მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს კვლევაში შემოთავაზებული რეკომენდაცია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებსაც მიეცეთ განაწილებულ საქმეთა რაოდენობის ხედვის შესაძლებლობა.

ვ) ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხების შემთხვევაში საქმეთა რიგითობის წესით განაწილებისას სასამართლოს თავმჯდომარის როლთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ დანერგვით მოიხსნა უამრავი კითხვა, რომლებიც შეეხებოდა სასამართლოს თავმჯდომარეთა მიერ საქმეთა განაწილების პროცესში ჩართულობისას არსებულ რისკებს. აღსანიშნავია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს მხოლოდ საქმეთა ავტომატურად განაწილების ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას საქმეთა განაწილების შესაძლებლობას სისტემის გარეშე, თუმცა აქაც ყოველგვარი ეჭვების გამორიცხვის მიზნით ადგენს განაწილების წესს, კერძოდ, საქმეთა განაწილებას რიგითობის წესით, საქმეთა შემოსვლის რიგითობისა და მოსამართლეთა ანბანური რიგითობის მიხედვით. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გაქარწყლების მიზნით, განაწილების წესი დეტალურად და ამომწურავად არეგულირებს განაწილებაში ჩარევის შემთხვევებს, ასევე სისტემის შეფერხების შემთხვევაში აწესებს შეტყობინების ვალდებულებას და შემდგომ სისტემის გარეშე განაწილებული საქმეების კონტროლის შესაძლებლობას, რაც საერთოდ

გამორიცხავს გარეშე პირთა თვითნებური ჩარევის შესაძლებლობას. ამასთან, საქმეთა განაწილების წესში განხორციელებული ცვლილების თანახმად, ელექტრონული სისტემის დროებითი შეფერხებისას საქმეთა რიგითობით განაწილების უფლებამოსილება დაეკისრა კანცელარიის შესაბამის უფლებამოსილ პირს. შესაბამისად, საქმეთა განაწილების პროცესისგან სასამართლოს თავმჯდომარე სრულიად დისტანცირებულია.

6. კვლევაში აღნიშნულია, რომ კანონმდებლობით დადგენილი საფუძვლებით საქმის აცილების/თვითაცილებისას ბუნდოვანი და გაურკვეველია როგორ ხდება საქმის ხელახალი განაწილება, რამდენადაც საქმეთა განაწილების ელექტრონული წესისგან განსხვავებულ განაწილების პროცესს ადგენს საპროცესო კანონმდებლობა.

აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლის აცილების/თვითაცილებისას საქმეთა განაწილების საკითხი დარეგულირებულია „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ მე-4 მუხლის მე-11 პუნქტით, რომლის მიხედვითაც, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში მოსამართლის აცილების/თვითაცილებისას, საქმე ნაწილდება აღნიშნული მოსამართლის მონაწილეობის გარეშე, შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით. საქართველოს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა მოსამართლის აცილების შემთხვევაში ითვალისწინებს საქმის სასამართლოს თავმჯდომარისათვის გადაცემას, რომელიც საქმეს განსახილველად გადასცემს სხვა მოსამართლეს. აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საქმის სხვა მოსამართლეზე განსახილველად გადაცემის წესი და მოსამართლეთა შორის საქმეების განაწილება რეგულირდება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 58[1] მუხლით, რომელიც ადგენს შემთხვევითი განაწილების პრინციპის დაცვით საქმეთა განაწილების სავალდებულოობას. შესაბამისად, განაწილების წესში ასახული რეგულირება შესაბამისობაშია საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

რაც შეეხება დოკუმენტით შემოთავაზებულ რეკომენდაციას, რომ ელექტრონულ პროგრამაში მოხდეს კომერციული თუ არაკომერციული ინტერესის ასახვა, რაც უზრუნველყოფს მსგავსი ინტერესის არსებობისას მოსამართლის გამორიცხვას საქმის განაწილების პროცესიდან. აღსანიშნავია, რომ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრულია მოსამართლის აცილების საფუძვლები, რომლებიც ამომწურავია და საჭიროებს მოსამართლის/კოლეგიური შემადგენლობის მიერ ინდივიდუალურად შეფასებასა და გადაწყვეტას. აღსანიშნავია, რომ მოსამართლეს აქვს ფართო მიხედულების ფარგლები კონკრეტული გარემოებების შეფასების პროცესში. პროგრამულად იმ მოსამართლის განაწილების პროცესიდან გამოთიშვა, რომლის მიმართაც შესაძლოა არსებობდეს ეჭვი მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით, შეუსაბამოა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული ეჭვქვეშ აყენებს ზოგადად აცილების ინსტიტუტის არსებობას. ამასთან, გასათვალისწინებელია მსგავსი დავალების შესრულების პროგრამული უზრუნველყოფის შესაძლებლობის საკითხიც.

7. კვლევაში მოსამართლეთა გათანაბრების საკითხთან დაკავშირებით მითითებულია, რომ მოქმედი ფორმულით პრაქტიკულად შეუძლებელია ახალგამწესებული მოსამართლის გათანაბრება სხვა მოსამართლეებთან, ვინაიდან 100%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლეს, რომელთანაც უნდა მოხდეს ახალგამწესებული მოსამართლის გათანაბრება, ისევ უნაწილდება საქმეები. აღნიშნული წარმოადგენს საკითხის მცდარ შეფასებას, ვინაიდან არ ხდება 100%-იანი დატვირთულობის მქონე მოსამართლის დასრულებულ საქმეთა რაოდენობის მხედველობაში მიღება.

ამასთან, კვლევაში აღნიშნულია, რომ პროგრამამ უნდა უზრუნველყოს შვებულებიდან, სამსახურებრივი მივლინებიდან დაბრუნების, დროებითი შრომისუუნარობის პერიოდის დასრულების შემდეგ მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის არა პირობითად გაზრდა, არამედ რეალური პროცენტული მაჩვენებლის ზრდა. გასათვალისწინებელი, რომ საქმეთა განაწილების წესმა უარი თქვა ამ შემთხვევებზე პროცენტული რაოდენობის გაზრდის პრინციპის გავრცელებაზე, ვინაიდან სამსახურებრივი ურთიერთობის შეჩერების ზემოაღნიშნული საფუძვლით, ძირითადად, ყველა მოსამართლე სარგებლობს და ეს არ იწვევს მოსამართლეთა მნიშვნელოვნად შეუსაბამო დატვირთვას. მითითებული წესით შემოღებულ იქნა მოსამართლეზე განაწილებულ საქმეთა რაოდენობის პირობითად გაზრდის ცნება, რაც გულისხმობს მოსამართლეთა საქმეების განაწილების მაჩვენებლების მხოლოდ პროგრამულად გათანაბრებას საქმეთა რაოდენობის მიხედვით ყველაზე ნაკლები მაჩვენებლის მქონე მოსამართლის საქმეთა მაჩვენებელთან და გამოიყენება მოსამართლეთა შორის საქმეთა განაწილების წესით დასაშვები, განაწილებულ საქმეთა რაოდენობებს შორის სხვაობის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად.

8. კვლევაში აღნიშნულია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი ვერ უზრუნველყოფს სათანადოდ ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზს, ამასთან დეპარტამენტს ამ დრომდე არ ჰყავს ხელმძღვანელი.

აღნიშნული შეფასება არ შეესაბამება რეალობას. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მენეჯმენტის დეპარტამენტი, რომელიც ზედამხედველობს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის ფუნქციონირებას, უზრუნველყოფს ელექტრონულ სისტემაში არსებული ინფორმაციის სათანადო დამუშავებასა და დროულ მიწოდებას დაინტერესებულ პირთათვის. ამასთან, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მიმდინარე ეტაპზე გამოცხადებულია კონკურსი მენეჯმენტის დეპარტამენტის თავმჯდომარის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.

9. კვლევაში გამოთქმულია შენიშვნა, რომ „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის“ კონსოლიდირებული ვერსია, ისევე როგორც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების კონსოლიდირებული ვერსიები, არ არის გამოქვეყნებული საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე. აღსანიშნავია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 2 ივლისის №226 გადაწყვეტილებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლითაც განისაზღვრა საბჭოს ოფიციალურ ვებგვერდზე საბჭოს გადაწყვეტილებების გამოქვეყნებისა და მათი კონსოლიდირებული ვერსიების განთავსების წესი. შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, აღნიშნული წესის, ისევე როგორც საბჭოს სხვა გადაწყვეტილებების კონსოლიდირებული ვერსიები, განთავსებულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

10. რაც შეეხება საქმეთა განაწილების ელექტრონული პროგრამის ტექნიკურ მახასიათებლებთან დაკავშირებით გამოთქმულ შენიშვნებს:

ა) კვლევაში მითითებულია, რომ მონიტორინგის განხორციელების საწყის ეტაპზე შეუძლებელი გახდა პროგრამის ტექნიკური დავალების მოპოვება მისი არარსებობის გამო. აღსანიშნავია, რომ საწყის ეტაპზე მოთხოვნილ იქნა დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნებოდა პროგრამის ფუნქციონალის აღწერილობა. აღნიშნულის თაობაზე ანალიტიკისა და დეველოპმენტის ჯგუფმა განმარტა, რომ სისტემის მიერ განსახორციელებელი მოქმედებების აღწერას არეგულირებს საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით საქმეთა განაწილების წესი. შემდგომი კომუნიკაციის დროს დაზუსტდა

მოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი, რის შემდეგაც, როგორც თავად კვლევაშია მითითებული, იქნა მიწოდებული წერილობითი ფორმით. რაც შეეხება უშუალოდ საქმეთა განაწილების ალგორითმს, უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ არის მიზანშეწონილი მისი გაცემა.

ბ) სისტემის პროგრამირების ენის სანდოობის საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ შემთხვევითი განაწილების მოდული, როგორც კვლევაშია მითითებული, დაფუძნებულია Microsoft-ის შემთხვევითი რიცხვების გენერირების მოდულზე. აღსანიშნავია, რომ საქმეების განაწილების პროგრამული უზრუნველყოფის მოდულის ტექნიკური დიზაინის პროცესის განხილვისას, სამუშაო ჯგუფის მიერ შემთხვევითი რიცხვების გენერირების მოდულთან დაკავშირებით შეთავაზებული იყო ორი ალტერნატივა - პირველი ეფუძნებოდა Microsoft-ის ტექნილოგიას, ხოლო მეორე - სპეციალური აპარატურული მოწყობილობის შეძენას. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი უნდა განხორციელებულიყო შემჭიდროვებულ ვადებში და გამოყოფილი იყო მცირე ბიუჯეტი, გადაწყვეტილება იქნა მიღებული Microsoft-ის პროგრამული მოდულის გამოყენებასთან დაკავშირებით. აქვე აღსანიშნავია, რომ პროგრამული მოდული მცირე რაოდენობის შემთხვევითი რიცხვების გენერირების დროს იძლევა შემთხვევითი რიცხვების გენერირების ისეთ მაღალ ალბათობას, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს სასამართლოში არსებულ ბიზნეს პროცესს.

გ) კვლევაში არსებული მითითება Hard Lock პროგრამის მთავარი მოდულის დაუცველობასთან დაკავშირებით არ შეესაბამება რეალობას. აღსანიშნავია, რომ არსებული კოდის უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტა დაფუძნებულია შიდა პროცედურებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის დანაწევრებული გარემოს გამოყენებაზე. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლოში პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის პროცესში არსებობს პროდუქტის შექმნის სატესტო და საწარმოო გარემო. სწორედ ამ ეტაპების გამოყენების შედეგად ხორციელდება ახალი ან განახლებული პროგრამული უზრუნველყოფის გამოქვეყნება. მიმდინარეობს მუშაობა პროცესის დახვეწისა და მისი უსაფრთხოების კიდევ უფრო გაუმჯობესებაზე. უახლოეს მომავალში იგეგმება IT სამსახურის, IT-ის მმართველობითი მოდელის რეორგანიზება, ხოლო შემდეგ ეტაპზე სასამართლო სისტემაში ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის მოდელის დანერგვა, რაც უკვე სისტემურად უზრუნველყოფს ინფორმაციულ უსაფრთხოებას.

დ) კვლევაში საუბარია ელექტრონული პროგრამის განახლების მექანიზმის ბუნდოვანებასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ცვლილება, რომელიც უნდა აისახოს ელექტრონულ სისტემაში, გამომდინარეობს საქმის განაწილების წესში შეტანილი ცვლილებიდან. პროგრამის ფუნქციონალის ცვლილების/ოპტიმიზაციის პროექტი მიიღება იუსტიციის უმაღლეს საბჭოს მიერ, რის შემდეგად აისახება ელექტრონულ პროგრამაში.